ვერსია

№23 (1613) 15 — 21 ივნისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვინ არის და რა ქონებას ფლობს თბილისის მერის ახალი მოადგილე

კახა გულედანი ილია ელოშვილის საქმიანობას გააგრძელებს

პროტესტანტ სტუდენტებს უნივერსიტეტიდან გარიცხვით ემუქრებიან

რა ხდება რეალურად თსუ-ში და რატომ აუჯანყდნენ სტუდენტები რექტორს

გიორგი ხელაშვილი: „საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს!“

„უკრაინისა და მოლდოვას ოპოზიციის ნეგატიური ქმედებები ახლოსაც კი ვერ მოვა საქართველოს ოპოზიციასთან“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„ერთი ადგილი დაიყენეთ!“ – დიდი „ბათქი“ ლიბერალებში

20 ივნისის ქრონიკები – რას ვერ იყოფენ ოპოზიციონერები და რატომ ლანძღავენ ერთმანეთს

პოლიციამ ბათუმში, „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბათუმში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე 1989 წელს დაბადებული ბ.მ. დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა „საქართველოს ბანკის“ ფილიალში, იარაღის დემონსტრირებით, მოლარეს თანხა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი ამავე იარაღიდან გაისროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ხუთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში და აჭარაში ნარკოდანაშაულისთვის ხუთი პირი დააკავეს. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ ნარკოტიკების ინტერნეტით უკანონო გასაღების ფაქტებიც აღკვეთა – სხვადასხვა ადგილზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკები ამოიღო და სამი პირი დააკავა. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1975 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.მ. დიდი ოდენობით ნარკოტიკის არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკი ამოიღო. ამასთანავე, დაბა ჩაქვში, ი.მ.-ის მითითებით ამოღებულია მის მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე შემდგომი გასაღების მიზნით განთავსებული ნარკოტიკი. ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ჯგუფურად მომზადება ედება ბრალად თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ თბილისში დაკავებულ ორ პირს: 1998 დაბადებული ს.ც.-სა და 1995 წელს დაბადებული ნ.მ.-ს.

სამართალდამცველებმა თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ბრალდებულების მითითებით, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ბრალდებულების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარ სამმართველოს თანამშრომლებმა 1988 წელს დაბადებული ზ.ღ. მას ბრალი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირებაში, დიდი ოდენობით „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მის მიერ კულტივირებული 4 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, ასევე, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ბრალდებით 1981 წელს დაბადებული თ.ტ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 1 შეკვრა გამომშრალი „მარიხუანა“, „მდმა“-ს შემცველი 2 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, ხოლო ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კულტივირებისთვის მოწყობილი სათბურიდან ამოღებულია 39 ძირი კანაფი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, სსკ-ის 19-260-ე, სსკ-ის 265-ე, სსკ-ის 273-ე პრიმა მუხლით, სსკ-ის 18-273 -ე პრიმა მუხლით და სსკ-ის 236-ე მუხლით მიმდინარეობს.

შს მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა ბათუმში, „გეიგერის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა ბირთვული და რადიაციული საფრთხეების აღმოჩენისა და რეაგირების საკითხებთან დაკავშირებით, ბათუმში, „გეიგერის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა.

გიორგი ბუთხუზმა და ინტერპოლის სათავო ოფისის რადიაციული და ბირთვული ტერორიზმის პრევენციისა და პროექტების მართვის უფროსმა მენეჯერმა, აარონ მოსბიმ ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნეს.

სიტყვით გამოსვლისას, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ინტერპოლს შორის ხანგრძლივ და წარმატებულ თანამშრომლობას. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ინტერპოლსა და წევრ ქვეყნებთან ინფორმაციის ეფექტიანად გაცვლის მნიშვნელობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ასევე ისაუბრა სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ბირთვული და რადიაციული საფრთხეების აღმოჩენისა და რეაგირების შესახებ საქართველოს გამოცდილებაზე და ამ კუთხით არსებულ წარმატებულ უწყებათაშორის თანამშრომლობაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, გენერალური პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენლები.

ღონისძიება, რომელშიც ინტერპოლის წევრი 10 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ინტერპოლის გენერალური სამდივნოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ორგანიზებით ჩატარდა.

შსს-მ კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ნახატების კონკურსი გამოაცხადა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობითა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ნახატების კონკურსი გამოაცხადა.

ნახატების კონკურსში მონაწილეობის წესები და პირობები: კონკურსის მიზანია, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, 12-დან 18 წლამდე;
- საკონკურსო ნამუშევრები შინაარსობრივად უნდა პასუხობდეს კონკურსის თემას;
- გამოგზავნილ წერილში აუცილებელია მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, ნახატის სათაური და მისი მოკლე აღწერა;
- კონკურსის ვადის დასრულების შემდგომ, ჟიურის წევრები გამოავლენენ სამ საუკეთესო ნამუშევარს, რომლებსაც გადაეცემათ ჯილდო;
- თემასთან და მითითებულ პირობებთან არსებითად შეუსაბამო, უცენზურო, დისკრიმინაციული, ძალადობის შემცველი საკონკურსო ნამუშევრები, ასევე, ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება ზოგადმორალურ და ეთიკურ პრინციპებს, არ მიიღება;
- თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს, წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ნახატი;
- ნახატის შესრულების ტექნიკა და ზომა შეზღუდული არ არის (არ მიიღება ელექტრონულ მოწყობილობაში შექმნილი ნამუშევარი);
- მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნახატი, ინტერნეტში მოძიებული ნახატი კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს;
- წარმოდგენილ ნახატზე საავტორო უფლებები უნდა ეკუთვნოდეს კონკურსანტს. სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა, წამოაყენონ რაიმე სახის (ქონებრივ, არაქონებრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) პრეტენზია გამოქვეყნებულ ნახატთან დაკავშირებით;
- კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებასა და კამპანიაში;
- კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას და სამინისტროს გადასცემს უფლებას, მის მიერ გადმოგზავნილი ნახატი შემდგომში გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ;
- გაცნობებთ, რომ საკონკურსო ნამუშევრის გამოგზავნით, კონკურსანტი ავტომატურად ეთანხმება კონკურსის პირობებს;
- საკონკურსო ნამუშევრები მიიღება 2022 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

კონკურსთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

დავით ხურციძე – ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – 599 77 18 94 ან მოგვწერეთ ელ. ფოსტაზე: adamianisuflebebi@mia.gov.ge

კონკურსის მონაწილეები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით: რამდენად პასუხობს ნამუშევარი კონკურსის თემატიკას; რამდენად ორიგინალური და შემოქმედებითია ნაშრომი.

კონკურსის სამივე გამარჯვებულს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ფასიანი საჩუქარი.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

გთხოვთ, ნახატები გამოგზავნოთ დასკანერებული სახით, ელექტრონულ ფოსტაზე – adamianisuflebebi@mia.gov.ge.

ასევე, შესაძლებელია ნამუშევრების გამოგზავნა ფოსტის საშუალებით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ორთაჭალა, გ.გულუას ქუჩა №10 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი). ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში, ნამუშევრები უნდა მოგვაწოდოთ, არაუგვიანეს 2022 წლის 25 ივნისისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ნახატის ორიგინალი ვერსიის გადმოგზავნა.

„ერთი ადგილი დააყენეთ!“ – დიდი „ბათქი“ ლიბერალებში

20 ივნისის ქრონიკები – რას ვერ იყოფენ ოპოზიციონერები და რატომ ლანძღავენ ერთმანეთს

ნინო დოლიძე

რამდენიმე დღეში, კერძოდ, 20 ივნისს, დედაქალაქის მთავარ გამზირზე ანუ ზუსტად იქ, სადაც 30 წელზე მეტია, საქართველოს ბედი თუ ავბედობა წყდება, დიდი ამბავი იქნება. კერძოდ, სამოქალაქო მოძრაობის – „სირცხვილია“ ინიციატივით, აქცია გაიმართება, რომლის მიზანიც იმის კიდევ ერთხელ დემონსტრირებაა, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს ჩრდილოეთი კი არა, დასავლეთი, ესე იგი, ევროპა გვინდა. ზოგადად, ქვეყანაში, სადაც წლების წინ, რეფერენდუმით გაირკვა, რომ მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანი ევროატლანტიკური ინტეგრაციაა, მსგავსი აქციები აღარ უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ამ გადარეულ დროში გასაკვირი აღარაფერია.

ზოგადად, დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ვისაც რა უნდა, ის თქვას და გაა-კეთოს, მაგრამ საოცარია, რომ ამჯერად, ერთმანეთს სწორედ ისინი დაერივნენ, რომლებიც თავს დასავლური დემოკრატიის აპოლოგეტებად და ლიბერალიზმის მიმდევრებად წარმოგვიჩენენ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მას შემდეგ, რაც „სირცხვილიამ“ ზემოხსენებული აქცია დააანონსა, ენმ-ს აქტიურმა მხარდამჭერმა, ფარნაოზ ჭკადუამ ამ სამოქალაქო ორგანიზაციის მისამართით, სოციალურ ქსელში, სიტყვა-სიტყვით დაწერა:

„#სირცხვილია“-მ მილიონზე მეტი დაფინანსება მიიღო ბევრი მხრიდან და სად წავიდა ეს ფული?!

მორჩით ყაყანს და დააყენეთ ერთი ადგილი!

წნორის გამგებლის თანაშემწის მოადგილეს ვერ გადააყენებთ, რო რამე და ვინ რუსები და რისი ღარიბაშვილის ან ვინმეს გადამყენებლები ხართ?!

მიკროფონი და ფული – ესაა ამათი ბრძოლა.

პირდაპირ ვამბობ და მაქვს ამის მტკიცებულება.

ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი სპეცსამსახურებზე მუშაობს.

ამ პიჟონების გამო, უამრავი ჩემი თანამებრძოლი არ დადის აქციებზე, რომლებიც 2012-დან ქუჩაში დგანან.

კიდევ ერთხელ ვამბობ – ერთი ადგილი დააყენეთ მანდ და მოეშვით ამ პარლამენტისა და მიკროფონ/სცენის ტ@აკში თხრას!

P.S. რა თქმა უნდა, არის მანდ 4-5 წესიერი აქტივისტი და ვმეგობრობ კიდეც... თუმცა, ეგენი მანდ ვერაფერს ვერ ცვლიან“.

ჭკადუას ამ სტატუსს, იგივე სოციალურ ქსელში, ლამის, რევოლუცია მოჰყვა. ყოველ შემთხვევაში,

„ონლაინ ომში“ იუმორისტი მიშა მშვილდაძეც ჩაერთო, რომელთან მიმოწერის სქრინებიც, თავად ფარნაოზმა გაასაჯაროვა და დაწერა:

„20 ივნისს, ეს ცენზორი იბღავლებს და ოცნება დაიქცევა და ევროპაში მიგვიღებენ?

ამ ძღნერის კასრმა #მიშამშვილდაძე-მ, განსხვავებული აზრის გამო მაგინა და ამას გადაეცით, მალე ვნახავ და პასუხს მოვთხოვ ადგილზე!

წარმოიდგინეთ, ეს რომ ხვალ ხელისუფლებაში მოვიდეს, განსხვავებული აზრისთვის, ალბათ, ადგილზე დაგვხვრეტს ან გადაგვასახლებს!

სიმართლე მოხვდა და აეწვა!

ასეთი ფსევდო ინტელექტუალები, ფსევდო ლიბერალები, ფსევდო პატრიოტები, ყველა გასაშვებია „რუსკი ვაენნი კარაბლის“ მიმართულებით და მერე შეიძლება, გვეშველოს.

P.S. ეს კლავიატურის ლომი თბილისში მარტო ვერ დადის, მთელი თბილისი დედას აგინებს და ჩემთან დიდ გულზეა.

კიდევ ერთხელ ვამბობ – ერთი ადგილი დააყენეთ მანდ და მოეშვით ამ პარლამენტისა და მიკროფონ/სცენის ტ@აკში თხრას!

P.S. რა თქმა უნდა, არის მანდ 4-5 წესიერი აქტივისტი და ვმეგობრობ კიდეც... თუმცა, ეგენი მანდ ვერაფერს ვერ ცვლიან“.

ერთი სიტყვით, როგორც ჭკადუას განცხადებებიდან ირკვევა, სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც ევროპისკენ გვიკვალავს გზას, ფულის მითვისებაშია ეჭვმიტანილი. სიმართლე რომ ითქვას, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ოპოზიციასთან ასოცირებულ ადამიანთა გაერთიანებას ფულის არამიზნობრივ ხარჯვაში ამხელენ.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, როცა მიხეილ სააკაშვილის სოლიდარობისა თუ პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, რამდენიმე აქცია სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, რუსთავის ციხესთანაც გაიმართა, ითქვა, რომ ორგანიზატორებმა სერიოზული „მაყუთი მოხსნეს“.

ბუნებრივია, ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ დადასტურებს, მაგრამ წყაროები, იგივე, ოპოზიციიდან კერძო საუბრებში მიანიშნებენ, რომ აქციების ორგანიზატორებს შორის, თანხის გამო უკმაყოფილება მოხდა და მიშას სოლიდარობის აქციები ამიტომაც შეწყდა.

ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში ფულის „მოტეხვის“ ანუ პოლიტკორუფციის თემა ახალი არ არის, თუმცა ამ კუთხით საუბარს ამჯერად აღარ გავაგრძელებ და ხაზს მხოლოდ ერთ სიმბოლოს გავუსვამ, მით უმეტეს, რომ ოპოზიციას, უფრო სწორად, მიხეილ სააკაშვილს სიმბოლოები ზომაზე მეტად უყვარს.

20 ივნისი ქართული საზოგადოებისთვის ერთგვარად საკრალური რამდენიმე წლის წინ გახდა: ალბათ, გახსოვთ, 2019 წლის ივნისი იდგა, როცა საქართველოში რუსი დეპუტატი გავრილოვი ჩამოვიდა და ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში მოკალათდა. ამ კადრის ნახვამ საზოგადოება აღაშფოთა და პარლამენტის წინ, ხალხი სპონტანურად შეიკრიბა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ გავრილოვი თბილისიდან გაიქცა, აქცია კი ძალის გამოყენებით დაშალეს.

იმხანად ქვეყნის პრემიერი გიორგი გახარია იყო, რომელსაც საზოგადოებამ „თვალთხარია“ შეარქვა, თუმცა საინტერესოა, რომ ოპოზიციას „თვალთხარიასთან“ კოლაბორაცია დღეს უხერხულობას არ უქმნის. არადა, თავის დროზე, გახარიას, ლამის, ეშმაკის მოციქულს ეძახდა, თუმცა რა გასაკვირია – პოლიტიკაში ხომ მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენ.

ისე, რა უცნაურ ვარსკვლავზე ვართ დაწერილები – ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, ქართველები ევროპისკენ მიისრაფოდნენ. ისტორია თუ არ ვიცით, მუხრან მაჭავარიანის ლექსი მაინც ხომ გვაქვს წაკითხული, აი, ის ლექსი, ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან რომ ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა. კედლიდან ახლაც იყურება ლუი მეცამეტე ანუ ბებერი ევროპა გამადიდებელი შუშით გვაკვირდება და სწორედ ამიტომაც გვმართებს ერთობა და ერთიანობა, თან ისე, როგროც არასოდეს, რამეთუ სულ რამდენიმე დღეში გადაწყდება, გავხდებით თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატები.

ახლა, პუტინელების აზრი გასათვალისწინებელი არ არის, რადგან მათაც გადასარევად იციან, რომ ევროკავშირის წევრობა გარანტირებულ კარგ ცხოვრებას და დაცულ უფლებებს ნიშნავს. ჰოდა, ვინმეს უნდა თუ არა, ევროპას ვერ ავცდებით. შესაბამისად, ამ თემაზე მანიპულაციები ისევ ჩვენ დაგვაზარალებს.

ამიტომაც, მოდით, თუნდაც, იგივე 20 ივნისს, მთელ პლანეტას დავანახოთ, რომ დიახ, ჩვენ ცივილიზებული, ევროპული ყაიდის ერი ვართ!

დიახ, ცხონებული ზურაბ ჟვანიას თქმისა არ იყოს, ჩვენ ვართ ქართველები და, მაშასადამე, ევროპელები!

პროტესტანტ სტუდენტებს უნივერსიტეტიდან გარიცხვით ემუქრებიან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა ხდება რეალურად თსუ-ში და რატომ აუჯანყდნენ სტუდენტები რექტორს

რამდენიმე დღეა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყურადღების ცენტრშია. სტუდენტებმა რექტორის კაბინეტში შეჭრა სცადეს, რასაც საზოგადოებისგან კრიტიკა მოჰყვა. აღშფოთება იმ კადრებმა გამოიწვია, სადაც ჩანს, რომ ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი, თემურ ხომერიკი ახალგაზრდებს კაბინეტის მიმდებარე ტერიტორიიდან ძალით გაჰყავთ... საგულისხმოა, რომ სტუდენტებმა პროტესტი ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყეს და მათი მოთხოვნა ჰიბრიდული სწავლება იყო, რაც უნივერსიტეტმა მაშინ დააკმაყოფილა. ახლა კი, როგორც ირკვევა, სტუდენტები ითხოვენ ფინალური გამოცდების ონლაინ-რეჟიმში ჩატარებას მხოლოდ მიმდინარე სემესტრში, რადგან მათი თქმით, თბილისში ჩამოსვლა ფინანსური პრობლემების გამო უჭირთ. რას აპროტესტებენ და რას ითხოვენ თსუ-ს სტუდენტები უნივერსიტეტის რექტორ გია შარვაშიძისგან? – „ვერსია“ აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორ სოფი მოლაშხიას ესაუბრა:

– ჩვენი პირველი და მთავარი მოთხოვნა საერთო საცხოვრებლის მშენებლობაა. გვინდა, გვქონდეს გარანტია, რომ რაც შეიძლება, მალე აშენდება. ასევე, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფინანსურ გამჭვირვალობას ვითხოვთ, რადგან გვაქვს კითხვები ხარჯებთან დაკავშირებით.

მესამე მოთხოვნა კი მხოლოდ ამ სემესტრში გამოცდის ფორმატის ცვლილებაა და მინდა, ეს კარგად ავხსნა – იქიდან გამომდინარე, რომ თსუ-ში სწავლა გაგრძელდა ჰიბრიდულად, ბევრმა სტუდენტმა დისტანციურ რეჟიმზე გააგრძელა სწავლა და ვერ ახერხებს თბილისში ჩამოსვლას. უნივერსიტეტმა შემოგვთავაზა კიდევ ორი საგამოცდო ქალაქი – ქუთაისი და ახალციხე, მაგრამ ვინც საზღვარგარეთაა დარჩენილი ან შორსაა, ვთქვათ, ლაგოდეხსა და ხულოში, მათთვის ეს სამი ქალაქიც ვერ გადაჭრის პრობლემას. ესაა ფინანსური და საბინაო პრობლემები, ამიტომ უნივერსიტეტს ვთავაზობთ, რომ მხოლოდ ამ სემესტრში შეცვალოს გამოცდის ფორმატი – ან ეს გამოცდა ყველასთვის იყოს დისტანციური, ან საგამოცდო გახადონ ყველა დიდი ქალაქი.

თავიდან უნივერსიტეტს შევთავაზეთ, რომ გამოცდები ყოფილიყო ჰიბრიდული, მაგრამ ამაზე გვიპასუხეს, რომ ეს არათანაბარ პირობებს შექმნიდა შეფასების მხრივ და სწორედ აქედან წამოვიდა სტუდენტების მოთხოვნა, რომ გამოცდა ონლაინ-რეჟიმში ჩატარდეს.

ჩვენი მეოთხე მოთხოვნა რექტორის გადადგომა და რექტორის არჩევის წესის ცვლილებაა, რათა არჩევის პროცესი ბევრად გახსნილი იყოს.

– რექტორის გადადგომას რატომ ითხოვთ?

– ორ თვეზე მეტია, პერმანენტულ საპროტესტო აქციებს ვმართავთ. ბევრმა აქციამ ცოტა სხვა სახე მიიღო და მასშტაბური გახდა... ჩვენ ვითხოვდით, რომ შეგვხვედროდა რექტორი, ბატონი გია შარვაშიძე. როგორც უნივერსიტეტში აცხადებენ, მას აქტიური კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან, მაგრამ რეალურად, ყველაფერი ეს, ჯანსაღი კომუნიკაციის არარსებობამ გამოიწვია. ბატონი გია ერთხელ შეგვხვდა სტუდენტების მცირე ჯგუფს და გვითხრა, ჩვენ გადაწყვეტილებას არ შევცვლით, სწავლა დაიწყება 2 მაისს და სტუდენტებმა უნდა გაიჭირვონო. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს პასუხი მიუღებელი იყო, რადგან სტუდენტები განათლების პროცესს მიღმა რჩებოდნენ და ამიტომ აქციებმა სხვა ფორმა მიიღო. რექტორს ვთხოვდით შეხვედრას, მის კაბინეტთან მივდიოდით და არ გვხვდებოდა. ორი ღამე გავათენეთ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იმის მოთხოვნით, რომ რექტორი დაგვდებდა პატივს და შეგვხვდებოდა, რის შემდეგაც მოუწია, შეეცვალა გადაწყვეტილება და სწავლა ჰიბრიდულად გაეგრძელებინა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამხელა უნივერსიტეტში, რომელსაც 60 მილიონზე მეტი დაფინანსება აქვს, არაა გამართული ინტერნეტი და ჰიბრიდული სწავლება მიმდინარეობს ლექტორების მიერ ნაყიდი მეგაბაიტების ხარჯზე. ისიც ვერ უზრუნველყვეს, რომ სასწავლო პროცესი ყოფილიყო გამართული!

უნივერსიტეტში გვეუბნებიან, ორი თვით ადრე გავაკეთეთ განცხადება და უნდა მომზადებულიყავითო, მაგრამ აქვე ჩნდება ლოგიკური კითხვა – თავად უნივერსიტეტს ორწელნახევარი ჰქონდა პანდემიის პერიოდში, რათა დაზოგილი თანხა გამოეყენებინა ჰიბრიდული სწავლების მოსამზადებლად.

გამოცდის ფორმატი, რომელსაც ვითხოვთ, სხვა უნივერსიტეტების მიერ გამოცდილი მეთოდია, სხვაგანაც წერენ გამოცდებს დისტანციურად.

– სოფი, კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექეცით საზოგადოებისგან, როცა მწვავე დაპირისპირების კადრები გავრცელდა... რამ განაპირობა თქვენი ასეთი გაბრაზება?

– პირველ რიგში, იმან გაგვაბრაზა, რომ უნივერსიტეტისთვის სტუდენტი არ წარმოადგენს პრიორიტეტს. ისინი იღებენ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. როცა ვამბობდით, რომ განათლების მიღმა ტოვებდნენ სტუდენტებს, მედიასაშუალებებში გამოდიოდნენ და ამბობდნენ, თსუ-ში 27 000 სტუდენტია და მხოლოდ იმიტომ, რომ განათლების მიღმა, შეიძლება, 3000 სტუნდეტი დარჩეს, ამას ვერ გავითვალისწინებთო. ასევე, იყო მათი მხრიდან ცინიკური დამოკიდებულება... სტუდენტები ვდგავართ, ვთხოვთ, რექტორთან შეგხვედრას და 15 წუთით ადრე, ის უკანა კარიდან იპარება! აქცია გვაქვს გამართული უნივერსიტეტში და უცებ ქვეყნდება ფოტო, რომ ბატონო გია სადღაც ექსპედიციაზეა, სუფრასთან ზის, ჭიქა ღვინით ხელში... ყველაფერი ეს, მისი მხრიდან დამამცირებელი იყო.

შეხვედრაზე გვითხრა, როცა გისმენდით, პირბადის მიღმა მეღიმებოდა, რადგან ყველაფერი კარგად ვიცი და ამ თემაზე გვისაუბრიაო... ასევე, დამამცირებელია უნივერსიტეტის დამოკიდებულება, როცა გვთავაზობს ბაგების საერთო საცხოვრებელს. თუ ძალადობაზე საუბრობენ, ძალადობა სხვადასხვა ფორმისაა! კი, აქციაზე მოხდა გადაცდომები, რაც მართლაც, მაგათმა უყურადღებობამ წარმოშვა, მაგრამ ისიც ძალადობაა, როცა სტუდენტს ბაგების საერთო საცხოვრებელს სთავაზობ, რომელიც სრულიად შეუფერებელია საცხოვრებლად. ამის ამსახველი კადრებიც არსებობს, თუ რა ხდება საერთო საცხოვრებელში.

რაც შეეხება უნივერსიტეტის რესურსს, ინტერნეტი რომ არ არის, ეს ყველამ კარგად იცის. ასევე, უნივერსიტეტისთვის სრულიად ნოვაციას წარმოადგენს პროექტორის არსებობა და ამაზე ლექტორებმაც კი ისაუბრეს ერთ-ერთ გადაცემაში.

პროტესტანტ სტუდენტებს უნივერსიტეტიდან გარიცხვით ემუქრებიან

– დიახ, იაგო კაჭკაჭიშვილი საუბრობდა ამ პრობლემაზე...

– ასევე, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ვითხოვთ, უნივერსიტეტმა შეწყვიტოს ეთიკის კომისიის გამოყენება სტუდენტებისა და ლექტორების რეპრესიის მიზნით. ადრე იაგო კაჭკაჭიშვილს ემუქრებოდნენ, ახლა კი ჩვენ, სტუდენტები, ვართ ამ მუქარის მსხვერპლი და გვეუბნებიან, რომ გადაგვცემენ ეთიკის კომისიას, რომელიც გადაწყვეტს ჩვენს ყოფნა-არყოფნას უნივერსიტეტში.

– უნივერსიტეტიდან გარიცხვით გემუქრებიან?

– დაახლოებით, ეგრე გამოდის.

– ვინ არიან ეთიკის კომისიის წევრები?

– ჩვენც ახლახან შევიტყვეთ, რომ ეს კომისია არსებობს თსუ-ში, მაგრამ როგორც გავიგეთ, ამ „მანქანას“ იყენებენ ურჩი სტუდენტებისა და ლექტორების დასჯის მიზნით. ჩვენი ინფორმაციით, ამ კომისიაში შედის ბევრი „ყურმოჭრილი“ ლექტორი და ლექტორებს, ლექტორების ხელით „აშავებენ“.

– რას გულისხმობთ?

– ამ ეთიკის კომისიის წევრები არიან ლექტორები და გამოდის, რომ ლექტორები განიხილავენ სხვა ლექტორების საკითხს.

– და რა სანქციის გამოტანა შეუძლია ეთიკის კომისიას ?

– დეტალები არ ვიცი, ამ მექანიზმის შესახებ მაშინ დავინტერესდი, როცა თსუ-ში გააკეთეს განცხადება, რომ ჩვენს საქმეს ამ კომისიას გადასცემდნენ.

– საინტერესოა, ლექტორები თუ გიჭერენ მხარს და თქვენს პროტესტს იზიარებენ?

– დიახ, ლექტორები ჩვენს აქციაზეც გამოსულან, გადაცემაშიც აშკარად დააფიქსირეს პოზიცია, მაგრამ ეს ლექტორები უნივერსიტეტიდან საყვედურს იღებენ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში გვითხრეს, ესენი გაზარმაცებული ლექტორები არიან, რომლებიც თქვენ გაქეზებენო...

– სოფი, როგორც მივხვდი, სტუდენტებს ფინალურ გამოცდებზე ჩამოსვლის პრობლემა აქვთ...

– დიახ, უნივერსიტეტში ამბობენ, ხომ იცოდნენ, რომ გამოცდები ექნებოდათ და მომზადებულიყვნენო, მაგრამ პანდემია რომ იქნებოდა, ეს არავინ იცოდა და პანდემიის პერიოდში, ბევრმა სტუიდენტმა, ვისაც ძალიან უჭირდა, არ ჰქონდა ინტერნეტი, ნოუთბუქი, თავისი რესურსი მაქსიმალურად გამოიყენა, რომ ონლაინ-სწავლება უზრუნველეყო.

– ესე იგი, უნივერსიტეტმა არ იზრუნა ასეთი სტუდენტებისთვის, რომ ინტერნეტით და ტექნიკით უზრუნველეყო დისტანციური სწავლების დროს?

– დიახ, უნივერსიტეტს ამისთვის არაფერი გაუკეთებია. ეს ბავშვები სრულიად იმაზე იყვნენ გადართულნი, რომ დისტანციური სწავლება შესძლებოდათ და ამ დროს სთხოვ, ჩამოვიდეს მაშინ, როცა ბინები გაძვირებულია, სრულიად ალოგიკური და დიდი შეცდომა იყო უნივერსიტეტის მხრიდან, შუა სემესტრიდან სწავლის აუდიტორიებში გაგრძელება.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ ქულათა ყველაზე დიდი წილი მოდის გამოცდებზე. ფინალური გამოცდა ახლა 40-ქულიანია და თუ სტუდენტი გამოცდაზე ვერ გავა, არ აქვს მნიშვნელობა, იქამდე რა ქულები დააგროვა, ეს ნიშნავს, რომ სემესტრს ვერ დახურავს.

– განათლების მინისტრთან შეხვედრას ითხოვთ. დაგიკავშირდნენ უკვე ჩხენკელის უწყებიდან?

– არავინ გამოგვხმაურებია. იმას არ ვითხოვთ, რომ მინისტრი უნივერსიტეტის ავტონომიაში ჩაერიოს, უბრალოდ, სახელმწიფოსა და განათლების მინისტრს ვაკისრებთ პასუხისმგებლობას საერთო საცხოვრებელთან დაკავშირებით და ამაზე გვინდა მასთან საუბარი, რომ გადაიდგას საცხოვრებლის მშენებლობისთვის ნაბიჯები, რასაც 2018 წელს დაგვპირდნენ.

ადრე განათლების სამინისტრო გამოეხმაურა ჩვენს აქციებს და მოუწოდა უნივერსიტეტს, გაეთვალისწინებინა სტუდენტების მოთხოვნა. ახლა კი განცხადება არ გაუკეთებიათ, გარდა იმისა, რომ გმობენ ძალადობას და გამოხატვის ეს ფორმა მათთვის მიუღებელია.

– საუბარმა მოიტანა და გკითხავთ, იქ იყავით თუ არა, როცა დაპირისპირება მოხდა და როგორ აფასებთ სტუდენტების მხრიდან ამგვარ ქმედებას?

– დიახ, იქ ვიყავი და საზოგადოებამ არ იცის, რა უძღოდა ყველაფერ ამას. მანამდეც მივსულვართ რექტორის კაბინეტთან, რომ კარი გაეღო, მაგრამ ცარიელ კაბინეტს ამაგრებს დაცვის 50-ზე მეტი თანამშრომელი. სხვადასხვა კორპუსიდან გადმოჰყავდათ დაცვის თანამშრომლები, მათთან ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, ეს მათი სამსახურეობრივი მოვალეობაა და ჩვენი აქცია იყო, რომელიც გამწვავდა. მაქვს ისეთი კადრებიც, სადაც ჩანს, რომ წინა დღის აქციაზე, მე მარტყამს დაცვის თანამშრომელი, ძირს ვვარდები, მაგრამ ეს კადრები არ გაგვისაჯაროებია და არ გვითქვამს, ჩვენზე ძალადობენ-თქო.

ეს იყო ორმხრივი შეხლა-შემოხლა და ყველა აქციას მოჰყვება ხოლმე მსგავსი დაპირისპირება. ჩვენ არ ვიყავით გაბოროტებული ჯგუფი, რომელიც მიზანმიმართულად ურტყამდა დაცვას. შეხტომის კადრები რომ ჩანს, კარის გამოღებას ვცდილობდით, რადგან არ გვაძლევდნენ იქ შესვლის უფლებას და ეს ოთახი ჩვენთვის ბერკეტი იყო, რადგან სხვაგვარად ყურადღებას არ გვაქცევდა და ვფიქრობდით, თუ ამ ოთახში შევიდოდით, იქნებ, მაშინ მაინც გამოჩენილიყო ჩვენი რექტორი.

ახლა კი უნივერსიტეტი იმაზეა ორიენტირებული, რომ გამოგვიყვანოს მარგინალურ დაჯგუფებად. იმ აქციაზე დაშავდნენ სტუდენტებიც და პირველი სასწრაფო დახმარება სტუდენტისთვის იყო გამოძახებული, იმავე სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს დაცვის თანამშრომელიც და როგორც გავარკვიეთ, მათ არ ჰქონდათ სერიოზული დაზიანებები, უბრალოდ, დაჟეჟილობა ჰქონდათ და ასეთი დაჟეჟილობები გვაქვს ჩვენც. ამის ამსახველი ფოტოებიც გვაქვს და რადგან კლინიკაში არ გადავედით, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ დავზიანდით.

რაც შეეხება დეკანს, თემურ ხომერიკს, რატომღაც, არსაიდან გამოჩნდა ეს ადამიანი და იცავდა რექტორის კაბინეტს. გვგონია, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი, შეიძლება, უნივერსიტეტის მიერ იმისთვის, რომ ჩვენ ძალადობრივ ჯგუფად გამოვეყვანეთ, ჩვენი პრობლემები გადაეფარათ...

– ფიქრობთ, რომ ხომერიკი განგებ გამოვიდა თქვენთან?

– შეიძლება... იმიტომ, რომ როცა დეკანატთან შეხვედრას ვითხოვდით, მაშინ ეს ადამიანი არ გამოჩენილა. მანამდე მისი კადრები გავრცელდა, სადაც სტუდენტს ეუბნება, თუ არ გაქვს საშუალება და ვერ ჩამოხვალ, რა გავაკეთო, ვერ ისწავლიო... იმ აქციაზე კი უცებ არსაიდან გაჩნდა, მას მართლა ვთხოვდით, დაეტოვებინა იქაურობა, რადგან იქ მხოლოდ ორგანიზატორები არ ვიყავით, იქ მოსულები იყვნენ სტუდენტები, რომლებიც ძალიან გაბრაზებულები იყვნენ და ჩვენ ვერ ვიღებდით პასუხისმგებლობას. ამიტომ ვთხოვდით ბატონ თემურს, დაეტოვებინა ის ადგილი, მაგრამ ჯიუტად იდგა და ემოციურ ფონზე მოხდა მისი გაყვანა უხეში ფორმით. გაყვანის ფორმა არასწორი იყო, მაგრამ იმასაც გააჩნია, რისთვის იყო გაყვანილი – იმისთვის, რომ უფრო უარესი რამ არ მომხდარიყო.

– შესაძლოა, ვინმემ თქვენს პროტესტს პოლიტიკური სარჩული დაუდოს...სოფი, რომელიმე პარტიასთან რაიმე სახის კომუნიკაცია გაქვთ?

– ზოგი „ნაცს“ გვეძახის, ზოგი – „ქოცს“, მაგრამ აქ არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ მოსულა. სულ თავიდან, აქციები რომ დავიწყეთ, რომელიღაც პარტიიდან (არც „ნაცებიდან“, არც „ქოცებიდან“) მოვიდა ერთი ქალი, დადგა ჩვენთან ერთად კიბეზე, ბანერი დაიჭირა, მაგრამ ჩვენ ვუთხარით, შეეძლო, ყოფილიყო მაყურებლის როლში, მაგრამ არ გვსურს ყველაფერ ამის გაპოლიტიზირება-თქო, რადგან გვაწუხებს სტუდენტური პრობლემა და არ გვინდა, ვიღაცამ პოლიტიკური ნიშა მოგვაწებოს. რაც შეეხება მედიას, „იმედი“ არის ის მედიასაშუალება, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ჩვენს ცუდად წარმოჩენას. ჩვენს ინტერვიუს ისე ჭრიან, რომ გამოვყავართ სტუდენტები, რომლებსაც გამოცდის გადაწერა უნდათ.

სხვათა შორის, ჩვენი რექტორიც მხოლოდ ტვ „იმედზე“ მიდის და არც ერთხელ გამოჩენილა სხვა მედიასივრცეში.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

გიორგი ხელაშვილი: „საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს!“

„უკრაინისა და მოლდოვას ოპოზიციის ნეგატიური ქმედებები ახლოსაც კი ვერ მოვა საქართველოს ოპოზიციასთან“

საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინშია. ევროკომისია მოსაზრებას ევროკავშირის კითხვარზე საქართველოს მიერ გაგზავნილი პასუხების საფუძველზე ამზადებს. საქართველომ ევროკომისიის 2 700-მდე შეკითხვას უპასუხა, თუმცა რა ჩაიწერა დოკუმენტში, უცნობია. 24-25 ივნისის სამიტზე, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები მიიღებენ გადაწყვეტილებას, მიენიჭება თუ არა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. რა მოლოდინი აქვთ მმართველ პარტიაში ამ მნიშვნელოვანი სტატუსის მინიჭებაზე? – „ვერსია“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატ გიორგი ხელაშვილს ესაუბრა:

– მოლოდინი მაქვს, რომ იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება და საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს. ამისკენ ჩვენ არაერთი წელია, მივდივართ. წინა საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენი მთავარი ლოზუნგი და დაპირება იყო, რომ გავატარებდით ყველა საჭირო რეფორმას, რათა გვქონოდა საფუძველი, 2024 წელს, შეგვეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ეს პროცესი დაჩქარდა გეოპოლიტიკური ცვლილებების გამო, თუმცა აქამდე გატარებული რეფორმებიც უნდა იყოს საკმარისი, რომ ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, მით უმეტეს, იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებმაც ჩვენთან ერთად შეავსეს ეს განაცხადი. ამას ყველაზე კარგად მოწმობს კითხვარი, რომელიც საქართველოს გამოეგზავნა და როგორც ჩვენი ევროპელი პარტნიორებისგან ვიცით, ეს კითხვარი შევსებულია ძალიან მაღალ დონეზე, თუმცა საქმე ისაა, რომ ამ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ოთხი დიდი ფაქტორი...

– რას გულისხმობთ?

– პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას, ევროკავშირის მხრიდან რეგიონში მიმდინარე ფართო გეოპოლიტიკური და ასევე, ევროკავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესია. ადვილი არაა გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხზე, რადგან სამწუხაროდ, ისტორიის დინება ხელს ახალი წევრების შემატებას არ უწყობს, რადგან ევროპაში „დაღლილობაა გაფართოების მიმართ“. ეს გამოიხატება პოლიტიკურ წრეებში, მთავრობებსა და მოსახლეობაში, ვინაიდან წინა გაფართოებები უპრობლემო არ ყოფილა. ევროკავშირი უკმაყოფილოა მიღებული ქვეყნების ტრაექტორიით, როგორც რეფორმების, ასევე, პოლიტიკური წინააღმდეგობების თვალსაზრისით. რაც მეტი წევრია, მით უფრო უჭირთ მიაღწიონ თანხმობას. ეს კი ხელს უშლის ევროკავშირის მომგებიან ჩართულობას საერთაშორისო საკითხებში, ამიტომ ბუნებრივად გაჩნდა გარკვეული სკეპტიციზმი გაფართოების მიმართ.

მეორე ფაქტორია არსებული გეოპოლიტიკური ვითარება – უკრაინის ომი, პანდემია, საერთაშორისო კონკურენციის ზრდა. უკრიანაში რუსეთის შეჭრა არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის მიერ მეორის დაპყრობა, არამედ, ამას ძალიან ფართო ეკნომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური შედეგი აქვს, რაც კიდევ უფრო ართულებს პროცესს ევროკავშირის გაფართოების შესახებ. არავის უნდა ომით, კონფლიქტებით, განუვითარებელი ეკონომიკით (უკრაინის შემთხვევაში, ამას ბევრი სხვა რამ ემატება, კორუფცია და ა.შ.) ასეთი ქვეყნის მიღება. ასე რომ, ერთი შეხედვით, თითქოს ჩვენი განაცხადი დაჩქარდა, მაგრამ მეორე მხრივ, უკრაინასა და მოლდოვასთან ასოცირება ამ პროცესში, არ არის გამორიცხული, რომ უფრო გვირთულებდეს საქმეს, ვინაიდან უკვე მოვყევით ამ დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ქარიშხლის შუაგულში. ეს საით წაგვიყვანს, ჯერ არ ვიცით. შეიძლება, დადებითი აღმოჩნდეს, შეიძლება – უარყოფითი.

მესამე ფაქტორი კი ის რეფორმებია, რომელიც საქართველომ გაატარა და რაც ევროპული რეგულაციებითა და კრიტერიუმების მიხედვით, უნდა იყოს გადამწყვეტი. ამ მხრივ, ყველაზე მყარად ვდგავართ. პირველი ორი ფაქტორი თუ ჩვენი გავლენის მიღმაა, რაც შეგვეძლო ევროკავშირში გაწევრიანებისთვის გაგვეკეთებინა, საქართველოს მთავრობამ ბევრი სირთულის, პოლიტიკური დესტაბილიზაციის, პანდემიის მიუხედავად, ძალიან კარგად შეასრულა.

აქამდე ევროპა ამას აღიარებდა, იყო ასოცირების, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ვიზალიბერალიზაცია და ყველაფერი მიდიოდა ლოგიკური დაგვირგვინების – განაცხადის შეტანისკენ, რაც დამოკიდებულია ასოცირების შეთანხმების შესრულებაზე, რომელიც ჩვენი შეფასებით, 40-დან 45%-მდე უკვე შესრულებული გვაქვს. 2024 წლისთვის კი 2/3 უნდა გვქონდეს შესრულებული. ასე რომ, ის, რაც ჩვენი შესაძლებლობის ქვეშ იყო, შევასრულეთ კარგად.

მეოთხე ფაქტორი ყველაზე წინააღმდეგობრივია. ევროპის გაფართოების წინა ტალღებს თუ შევხედავთ, განსაკუთრებით აღმოსავლეთით, ხშირად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პოლიტიკური მომენტისთვის, რა მდგომარეობა იყო ახალ წევრ ქვეყნებში. როგორც ამბობენ, თუ ვარსკვლავები კარგად იყვნენ განლაგებულნი მათთვის, ბედი თუ გაუღიმებდათ, ისინი უფრო ადვილად შედიოდნენ. ეს მეოთხე ფაქტორი ყველაზე უფრო შემთხვევითია და არ ექვემდებარება ლოგიკას. ვფიქრობ, პირველი ორი ფაქტორი ჩვენ კონტროლს მიღმაა, მესამეში მყარად ვდგავართ, მეოთხე კი ყველაზე წინააღმდეგობრივია.

ეს მეოთხე ფაქტორი, ჩემი აზრით, უკავშირდება პოლიტიკურ პოლარიზაციას, რომელიც ქვეყანაშია. ამან მიიყვანა ქვეყანა იმ მდგომარეობამდე, როდესაც საქართველოს წევრობისთვის, სწორედ ჩვენს მიერ შესრულებულ შედეგებთან ერთად, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მიმდინარე პოლიტიკური მომენტის საკითხი. საწყენია, რომ არსებობს ძალიან მწვავე დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელშიც ჩართულნი არიან, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ლობისტები, მედია – ყველაფერი ეს, საქართველოს არცთუ დადებითად წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე და ევროპული მთავრობების თვალში.

– ბატონო გიორგი, ევროპარლამენტის ბოლო რეზოლუცია საკმაოდ კრიტიკული იყო საქართველოს ხელისუფლების მიმართ. მმართველი ძალისგან ვისმენთ, რომ ევროპარლამენტარებზე გავლენას საქართველოს ოპოზიცია ახდენს. აქ ჩნდება კითხვა – თუ ოპოზიციას აქვს იმხელა ძალა, რომ ასეთი მასშტაბური გავლენა მოახდინოს ევროპარლამენტზე, რატომ არ აქვს ამის ძალა საქართველოს ხელისუფლებას?

– ეს გამომდინარეობს ორი მიზეზიდან – ევროპა დღეს გაფართოების წინააღმდეგია. მეორე ფაქტორი კი ისაა, რომ ამ თვალსაზრისით, საქმის გაფუჭება გაცილებით ადვილია, ვიდრე საქმის გაკეთება. რომ გადახედოთ უკრაინისა და მოლდოვას ოპოზიციის ქმედებებს, ისინი ახლოსაც კი ვერ მოვლენ თავისი ნეგატიურობით იმასთან, რასაც აკეთებს საქართველოს ოპოზიცია, მათ შორის, საერთაშორისო ასპარეზზე. არადა, ვითარება დემოკრატიულობის, განვითარების, პროგრესის თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესია საქართველოში, ვიდრე ამ ორ ქვეყანაში. ამაშია განსხვავება, რამდენად გაქვს სურვილი, რომ შენი ქვეყნის შიდა პრობლემები გახადო საერთაშორისო ზიანის საფუძველი. ამაში ქართული ოპოზიცია ჩემპიონია. უცხოელები არ იწყებენ პარტიების რეიტინგის გაზომვას და როცა ხედავენ, რომ თითქმის ყველა ოპოზიცია ერთხმად საუბრობს და აზვიადებს შიდაპოლიტიკურ პრობლემებს, იჯერებენ, რომ აქ რაღაც სასწაული ხდება...

– ამბობთ, რომ ხელისუფლებამ ევროკავშირის კრიტერიუმები კარგად შეასრულა, თუმცა შეგახსენებთ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებას. წარმოვადგენ იმ სოციალურ ფენას, რომლისთვისაც კატასტროფულად გაძვირებული ფასების გამო, ფინანსური პრობლემები ყოველდღიურობად იქცა.

– რა თქმა უნდა, მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ეს საერთაშორისო პრობლემაა. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, ვაღიარებ, რომ ფასები ძალიან გაზრდილია, მაგრამ ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების მაჩვენებელს რომ შევხედოთ, ცუდი შედეგი არ გვაქვს წლიური ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ჯერ პანდემიამ და შემდეგ უკრაინის ომმა ისეთი ცვლილებები გამოიწვია, რომ ჩვენი კალიბრის ზოგ ქვეყანაში გაცილებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა. დღეს, ყველა მთავრობას მსოფლიოში, ეს პრობლემა აქვს. სუბიექტურად და ობიექტურადაც მიმაჩნია, რომ რეფორმები, რაც „ოცნებამ“ გაატარა ბოლო ათ წელიწადში, უკეთესობისკენაა მიმართული. „ქართული ოცნების“ ჩვენს თაობას, ბოლო ორი წლის განმავლობაში ვინც ვართ ხელისუფლებაში, ყველაზე უფრო ცუდი მემკვიდრეობა გვერგო რეგიონული, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ვიდრე იყო მანამდე.

– ბატონო გიორგი, რეზოლუციაში ევროპარლამენტარებმა ბიძინა ივანიშვილის მიმართ სანქციების დაწესება მოითხოვეს. ამას რით ხსნით?

– რეზოლუციაში ჩაწერილი ეს საკითხი, ყველას ესმის, რომ პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგია და ამიტომ იურიდიული ძალა არ აქვს. ვამბობთ და ვიმეორებთ – მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ჩვენი პარტიის დამფუძნებელი, ის ახლა კერძო მოქალაქეა და შესაბამისად, მის მიმართ დაწესებული სანქციები ქვეყანაზე პოლიტიკურად ვერ აისახება. არ მჯერა, რომ სადმე სანქციებზე სერიოზული საუბარია, მაგრამ თუ თეორიულად დავუშვებთ, ეს მხოლოდ დააზარალებდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ქველმოქმედებასა და ბიზნესებს, რომლებიც საქართველოში, ფონდი „ქართუს“ ხელშეწყობით მოქმედებს და მთავრობისთვის მხოლოდ ამის გამო იქნება პრობლემა, რადგან ეს კიდევ უფრო მეტ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს შექმნის, თორემ პირდაპირ მთავრობის წინააღმდეგ, ამას არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური შედეგები არ ექნება.

ვინ არის და რა ქონებას ფლობს თბილისის მერის ახალი მოადგილე

კახა გულედანი ილია ელოშვილის საქმიანობას გააგრძელებს

მაკა რუხაძე

თბილისის მერმა საზოგადოებას ახალი მოადგილე გააცნო. 8 ივნისს, დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ კახა გულედანის კანდიდატურა ოფიციალურად წარადგინა, რომელიც ამ დრომდე თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას ხელმძღვანელობდა.

თბილისის მთავრობის სხდომაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერის მოადგილე ილია ელოშვილის ხსოვნას, რომელიც 1-ელ ივნისს, საკუთარ სახლში, გარდაცვლილი იპოვეს. 47 წლის ილია ელოშვილს მეუღლე და ორი შვილი დარჩა. ის თბილისის მერის მოადგილის თანამდებობას 2017 წლიდან იკავებდა, მანამდე – ენერგეტიკის მინისტრი, უფრო ადრე კი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე გახლდათ.

როგორც 8 ივნისის დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ აღნიშნა, ილია ელოშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია, თუმცა დედაქალაქის მუნიციპალიტეტი მის მიერ წამოწყებულ ყველა საქმეს ბოლომდე მიიყვანს:

„დღეს უმძიმესი მთავრობის სხდომაა. დავკარგეთ საუკეთესო მეგობარი, ადამიანი, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული საკუთარ საქმეზე, ქვეყანაზე, უპატიოსნესი, პროფესიონალი. მინდა, კიდევ ერთხელ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. ილიას ტრაგიკული გარდაცვალებით გამოწვეული დიდი ტკივილი და დანაკლისი სამუდამოდ დაგვრჩება, თუმცა ჩვენი ვალია მისი ხსოვნის წინაშე, რომ ილიას მიერ დაწყებული ყველა საქმე მივიყვანოთ ბოლომდე, ღირსეულად განვახორციელოთ ის პროექტები, რასაც წარმატებით უძღვებოდა. მინდა, მივმართო შეჩერებული მშენებლობებით დაზარალებულებს: არცერთი პრობლემა მოუგვარებელი არ დარჩება, ყველაფერს ბოლომდე მივიყვანთ. ამ მიმართულებას ილია უძღვებოდა და სწორედ მისი დამსახურებაა ისეთი ურთულესი საკითხების მოგვარება, როგორებიცაა „სვეტის“, „ოლიმპიური ვარსკვლავის“, „ცენტრ პოინტისა“ და სხვა დაუმთავრებელი მშენებლობებით დაზარალებული ოჯახების საქმეები. ის ადამიანები, რომლებიც საცხოვრებელ ბინებს ელოდებოდნენ და ილიას იმედით შეჰყურებდნენ, აუცილებლად მიიღებენ ბინებს მომდევნო წლების განმავლობაში“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ამის შემდეგ, კალაძემ საზოგადოებას კახა გულედანის კანდიდატურა წარუდგინა და დასძინა, რომ იმ მიმართულებას, რასაც ილია ელოშვილი უძღვებოდა, ამიერიდან, გულედანი ჩაიბარებს:

„საზოგადოებას მინდა წარვუდგინო კახა გულედანის კანდიდატურა. კახა წლების განმავლობაში მუშაობს მუნიციპალიტეტში და საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ის დღეს ხელმძღვანელობს მუნიციპალურ ინსპექციას, წლების წინ, იკავებდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას, იყო სამგორის რაიონის გამგებელი. მინდა, კახას წარმატებები ვუსურვო ამ თანამდებობაზე და დარწმუნებული ვარ, წამოწყებული საქმეები და უდიდესი გამოწვევები,რომელსაც ილია ელოშვილთან ერთად შევეჭიდეთ, ბოლომდე ღირსეულად იქნება მიყვანილი. ყველა ის ოჯახი და ადამიანი, ვინც იმედით შეჰყურებდა ილიას, რომ ეს თემა ბოლომდე მივიდოდა, ჩვენ ამას თავს ღირსეულად გავართმევთ და რა თქმა უნდა, მისი სულიც გაიხარებს“, – აღნიშნა კალაძემ.

მისივე თქმით, კახა გულედანი უხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტის ათივე რაიონის გამგეობას, მუნიციპალურ ინსპექციას და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურსაც გაუწევს კურატორობას:

„მინდა, წარმატებები ვუსურვო კახას და ცხადია, დაუსრულებელი მშენებლობები იქნება მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება“, – დასძინა თბილისის მერმა.

რა ქონებას ფლობს კახა გულედანი

მართალია, დიდი ხანია, საჯარო სამსახურშია, მაგრამ ფართო აუდიტორიას აინტერესებს, ვინ არის და რა ქონებას ფლობს კახა გულედანი. ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ გულედანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობით დაამთავრა.

ვნახოთ, როდის და სად მუშაობდა კალაძის ახალი მოადგილე, რომლის კანდიდატურაც თბილისის საკრებულომ უნდა დაამტკიცოს: 1995-2007 წლებში, კახა გულედანი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის უფროსი; 2007-2008 წლებში – თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის მრჩეველი გახლდათ; 2008-2010 წლებში – შპს ხორცპროდუქტების ქარხანა „ვაკეს“ გენერალური დირექტორი; 2010-2012 წლებში – სსიპ „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა; 2012-2015 წლებში – შპს „საქართველოს მეტროლოგიის ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო; 2016 წელს – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პროექტის მენეჯერი; 2016 წელს – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, სტრატეგიული პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2016 წლის 28 ნოემბრიდან – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე; 2018-2019 წლებში კი თბილისის მუნიციპალიტეტშია და სამგორის გამგებლის პოსტს იკავებდა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, რომელიც კახა გულედანმა ბოლოს, 2020 წლის 19 მაისს შეავსო, ირკვევა, რომ ჰყავს მეუღლე – ირინე ნეფარიძე და ორი შვილი – მარიამი და გიორგი.

გულედანის საკუთრებაშია 1998 წლის Toyota Land Cruiser-ი, რომელიც 2012 წელს უჩუქებიათ. ყოველ შემთხვევაში, ქონებრივ დეკლარაციაში ზუსტად ასეა მითითებული. მეორე ავტომობილი – 2012 წლის „ლექსუსი“ შვილის, გიორგის საკუთრებაშია, რომელიც 2019 წელს, 15 000 აშშ დოლარად შეუძენიათ. გარდა ამისა, დეკლარაციიდან ირკვევა, რომ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად, 65 000 აშშ დოლარი მიუღია.

დეკლარაციის შევსების დროს, გულედანის საკრედიტო ბარათზე 8 000 ლარი, ხოლო სახელფასო ანგარიშზე 2401.91 ლარი ჰქონდა, მეუღლეს, ირინე ნეფარიძეს – 4 010 ლარი, რაც მისი ყოველთვიური სახელფასო შემოსავალია.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საქმიანობას პროკურატურა იძიებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა – რა ხარვეზების გამო აღძრა სისხლის სამართლის საქმე პროკურატურამ

მაკა რუხაძე

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საქმიანობას პროკურატურა იძიებს. ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა დასკვნა, რომელიც ქუთაისის მერიასა და საკრებულოში, სხვადასხვა სახის დარღვევებსა და ხარვეზებს ეხება, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. 2022 წლის 8 აპრილს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2019-2020 წლებს მოიცავს.

აუდიტის დასკვნაში, რომელიც „ვერსიაში“ ვრცლად უკვე გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ 2019-2020 წლებში, ქუთაისის მერიის თანამშრომლებზე, სოციალური დახმარებების სახით, მაგრამ სათანადო დასაბუთების გარეშე, 358 200 ლარი გაიცა; დახმარება გაცემულია მერიისა და საკრებულოს მაღალანაზღაურებად თანამდებობის პირებზეც, რომლებსაც, თანამდებობის პირთა დეკლარაციის მიხედვით, სოლიდური შემოსავლები გააჩნიათ; ქუთაისის მერიამ, მუნიციპალური განვითარების ფონდთან სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, 22 669.5 ათასი ლარის ღირებულების ავტობუსები მიიღო, მაგრამ მერიამ არ მოითხოვა ავტობუსების ხარისხის კონტროლი; მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემის ნაკლოვანებების გამო, თითქმის 2 მილიონი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც მოკლე პერიოდში გაუარესებულია ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა.

უფრო ზუსტად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს საანგარიშო პერიოდში, დანამატის სახით მიღებული აქვთ 331 400 ლარი, ფულადი ჯილდოს სახით – 432 000 ლარი. აუდიტის დასკვნის მიხედვით, იმავე პერიოდში, მოსამსახურეებზე სოციალური დახმარების სახით გაცემულია 358 200 ლარი. გარდა ამისა, 2019 წელს – 20 მოსამსახურეზე, 2020 წელს – 22 მოსამსახურეზე, წლის განმავლობაში, სოციალური დახმარება ორჯერ და მეტჯერ გაიცა. მეტიც, 2019-2020 წლებში, ერთსა და იმავე საჯარო მოსამსახურემ 158-ჯერ მიიღო, როგორც ფულადი ჯილდო, ასევე, სოციალური დახმარება.

2019-2020 წლებში, სოციალური დახმარება გაიცა მერიის სამსახურის უფროსებზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებზე, კომისიების, ფრაქციების თავმჯდომარეებსა და სხვა პირებზე. 2019 წელს, დახმარება გაიცა თანამდებობის 11 პირზე, ხოლო 2020 წელს – 17-მა პირმა ერთი თვის თანამდებობრივი სარგო სრული ოდენობით მიიღო.

2019-2020 წლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. კერძოდ, ნაცვლად 11 სამორიგეო მანქანისა, 2019 წელს, ქუთაისის მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 31 და კერძო საკუთრებაში არსებული 116 ავტომობილით, ხოლო 2020 წელს, ქუთაისის მერია იყენებდა საკუთრებაში არსებულ 23 ავტომობილს და თხოვების ხელშეკრულება გაფორმებული იყო კერძო საკუთრებაში არსებულ 105 ავტომობილზე.

სახელმწუფო აუდიტორების მტკიცებით, 2019-2020 წლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 607 700 ლარის ღირებულების საწვავი, მათ შორის, 2019 წელს – 342 300 ლარის, ხოლო 2020 წელს – 265 400 ლარის.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, 20 სატრანსპორტო საშუალებაზე, ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 45 შემთხვევა გამოვლინდა. ასევე, შესამოწმებელ პერიოდში გამოიკვეთა 11 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, დროის მცირე მონაკვეთში, არაერთგზის და ავზის მოცულობასთან შეუსაბამოდ მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის 19 ფაქტი. გარდა ამისა, დოკუმენტის მიხედვით, გამოვლინდა მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავით გამართვის 484 ფაქტი. აუდიტის სამსახურის განცხადებით, ამ შემთხვევებში დახარჯულია 35 600 ლარის ღირებულების 14 300 ლიტრი საწვავი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2019-2020 წლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინა 351 000 ლარი, აქედან 2019 წელს – 257 300 ლარი, ხოლო 2020 წელს – 93 700 ლარი. 2019 წელს, კვებასა და სარესტორნო მომსახურებაზე – 117 800 ლარი, 2020 წელს – 31 300 ლარი დაიხარჯა.

გარდა ამისა, 2019 წელს, ქუთაისის მერიამ სარესტორნო და კვების მომსახურებით ისარგებლა 79-ჯერ, ხოლო 2020 წელს – 54-ჯერ. თუმცა იმ დოკუმენტებში, რომლებიც მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო აუდიტორებს წარუდგინა, სრულად ან/და რიგ შემთხვევებში, საერთოდ არაა მითითებული ჩასატარებელი ღონისძიებების საჭიროება, სტუმრებისა და მასპინძლების რაოდენობა, ინფორმაცია შეძენილი პროდუქტის შესახებ და სხვა მონაცემები.

აი, სწორედ ამ დარღვევების გამო, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს: **„მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია“.**

სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი სასჯელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმას, შინაპატიმრობას 6 თვიდან 2 წლამდე, ან 3 წლამდე ვადით პატიმრობას.

სამართალი

№23 15 ივნისი 2022 წ

როგორ დაიგეგმა ხანშიშეული მოსამართლის გაუპატიურების იმიტაცია

მეზობლისგან „ნასესხები“ სპერმა და დამხმარე ქალის შურისძიება

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ნებისმიერ პროფესიაშია კოლეგიალური ურთიერთობა. ეს ის შემთხვევაა, როცა კოლეგა და მეგობარი რაღაც ისეთს გთხოვს, რომელსაც ოფიციალური მსვლელობა არ უნდა მიეცეს, არ უნდა გახმაურდეს, ყველამ არ უნდა გაიგოს. ასეთი რამ, ალბათ, ყველა პროფესიის ადამიანებს გაუკეთებიათ, ერთმანეთი გაუთვალისწინებიათ, მეგობრული ხელი გაუწვდიათ. გამონაკლისი არც სამართალდამცავი ორგანოებია. მეტიც, ერთმანეთის გათვალისწინება შეიძლება ყველაზე მეტად სწორედ იქ ხდება, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია ოპერატიული მუშაობა. მაგალითად, პროკურორი არ მოგცემს უფლებას, ნებისმიერი ეჭვი სანქციით გადაამოწმო, არც ყველა სავარაუდო ეჭვმიტანილს იცნობს გამომძიებელი. ამიტომ, ვიღაცა ვიღაცას სთხოვს ამბის გაგებას, აგენტისგან ინფორმაციის მიღებას, ხოლო როცა ეჭვი გამართლდება, შემდეგ ყველაფერს უკვე ოფიციალურად აკეთებენ.

„რამდენიმე ათეული საქმე მქონდა სასამართლოში გაშვებული და მოსამართლეებს ჩემი საქმეები უხაროდათ, ყველაფერი გარკვეული და კარგად გამოძიებული იყო. ამიტომ, მათთან გადასარევი ურთიერთობა მქონდა, ვმეგობრობდით, სამსახურს გარეთ ვხვდებოდით ერთმანეთს. ამიტომ, არ გამკვირვებია, როცა ერთ-ერთმა მოსამართლე ქალბატონმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, საქმე მაქვსო. ის მოსამართლე თითქმის საპენსიო ასაკის იყო, მარტო ცხოვრობდა, არასოდეს გათხოვილა და შესაბამისად, ქმარ-შვილი არ ჰყავდა“, – იხსენებს იმ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი, რომელზეც... სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და ეს იმის მიუხედავად, რომ ქმედება სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავდა.

მომცრო კაფეში მისულ გამომძიებელს მოსამართლე უფრო დაბერებული ეჩვენა, ძალიან მოტეხილი და ქალს სახეზეც ეწერა, რომ ყველაზე ცოტა, 2-3 ღამის უძილო გახლდათ.

„მომისმინე, თენგო, რასაც ახლა გეტყვი, ჩვენში უნდა დარჩეს. საქმეს არ უნდა მიეცეს ოფიციალური მსვლელობა, არ უნდა გახმაურდეს, მაგრამ უნდა ჩაატარო ყველა საგამოძიებო მოქმედება, ექსპერტიზის ანალიზიც დაგჭირდება და უნდა ეძებო დამნაშავე. აქ, ცელოფანში ნაჭერი მაქვს, ჩემთან ექსპერტი უნდა მოიყვანო და ანაბეჭდები აიღო. მოკლედ რომ გითხრა, მე გამაუპატიურეს“, – ერთ ამოსუნთქვას ამოაყოლა მოსამართლემ თავისი ამბავი.

გამომძიებელმა პირი დააღო. ასეთ ასაკში მოსამართლის გაუპატიურება, თანაც საქმეს მსვლელობა არ უნდა მიეცეს...

„ოთხი დღის წინ, სახლში გვიან დავბრუნდი, ჩვევად მაქვს, ძილის წინ, 100 გრამ კონიაკს ვსვამ, კარგად მაძინებს. ამჯერადაც ასე მოვიქეცი, მაგრამ მერე აღარაფერი მახსოვს. დილით სრულიად შიშველმა საკუთარ ლოგინში გავიღვიძე, მივხვდი, ყველაფერი რიგზე არ იყო. ზეწარი ნაცნობ ექსპერტს შევამოწმებინე და მან მითხრა, რომ სპერმაა. დანარჩენი შენ იცი“, – თქვა მოსამართლემ და ამ საუბრიდან ორ საათში, მოსამართლის სახლში გამომძიებლის ნაცნობი ექსპერტები მუშაობდნენ.

„მათ უნდა ენახათ თითის ანაბეჭდები, უნდა შეემოწმებინათ და რაც მთავარია, კონიაკის ბოთლიც კარგად უნდა შეესწავლათ – საინტერესო იყო, რით დააძინეს მოსამართლე. იმავე საღამოს შედეგები მზად მქქონდა – სახლში მხოლოდ მოსამართლისა და მისი დამხმარე ქალის ანაბეჭდები იყო, კონიაკის ბოთლზე – მხოლოდ მოსამართლის ნათითურები, ხოლო საკეტი ნაწვალები გახლდათ და სავარაუდოდ, „ატმიჩკით“ იყო გაღებული. ეს იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავემ ზედმიწევნით იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებელმა დამხმარე ქალი დაკითხა. ის ექვსი თვე იყო, რაც მოსამართლესთან მუშაობდა, რადგან წინა მომვლელი, რომელიც ლამის 20 წელი ემსახურა, ასაკის გამო, დალაგებას ვეღარ ახერხებდა. დამხმარე ქალმა საინტერესო ვერაფერი თქვა, გასაღები მაქვს, მოვედი, დავალაგე, სადილი გავაკეთე და საღამოს 6-ზე წავედიო. მოსამართლე კი შინ, დაახლოებით, 10 საათისთვის დაბრუნდა ანუ დამნაშავემ ბინაში, სწორედ 6-დან 10-მდე შეაღწია, კონიაკში დასაძინებელი წამალი ჩაურია და დაელოდა, როდის დაიძინებდა მოსამართლე, შემდეგ კარი კვლავ „ატმიჩკით“ გააღო და მძინარე გააუპატიურა. მეზობლების დაკითხვამ შედეგი არ გამოიღო, მათ უცხო არავინ დაუნახავთ. მეტიც, ერთ-ერთი მეზობელი ამტკიცებდა, მთელი დღე ეზოში, სკამზე ვიჯექი, უცხო ადამიანს აუცილებლად შევნიშნავდი, მაგრამ უცხო არავინ ყოფილაო. სამართალდამცავებმა სამეზობლო შეამოწმეს, თუმცა საეჭვო არავინ იყო.

მოსამართლის საქმეთა გადახედვის ჯერი დადგა. ადვილი შესაძლებელი იყო, ვინმეს მისი განაჩენი არ მოსწონებოდა და შური ასე ეძია, მაგრამ ბოლო ერთი წლის საქმეების გადახედვით, საეჭვო ვერაფერი იპოვეს. ყველა საქმე, ერთი შეხედვით, მარტივი იყო და ერთ ნელზე მეტხანს იმიტომ არ გაჰყვნენ, რომ შურისძიების მსურველი მანამდეც მოახერხებდა, თუ რამის ჩადენა უნდოდა. არაოფიციალური ძიება ჩიხში შევიდა, თუმცა...

უცნაური რამ მოხდა – ერთ-ერთ ბინაში, მშობელი მძინარე შვილსა და მის თანაკლასელს მაშინ წაადგა თავზე, როცა ეძინათ. გოგონა სრულიად შიშველი იყო, ბიჭი – ჩაცმული, მაგრამ მშობელმა მაინც ერთი ამბავი ატეხა და გარდა იმისა, რომ მილიციაში დარეკა, აქაოდა, ბიჭმა არასრულწლოვანი გოგო შემიცდინაო, კატეგორიულად მოითხოვა ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნა საინტერესო იყო – გოგონას სასქესო ორგანოების მიდამოებში სპერმის კვალი აღენიშნება, თუმცა მასთან სექსუაალური კონტაქტი არავის ჰქონია. ამ ცნობამ მშობელი საერთოდ გადარია, თუმცა კიდევ ერთმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ სპერმა ბიჭს არ ეკუთვნოდა. ბავშვებმა დაკითხვაზე თქვეს, რომ სკოლიდან ერთად დაბრუნდნენ, გახსნილი კომპოტის წვენი დალიეს და მერე აღარაფერი ახსოვთ. ამ შემთხვევაში, უკვე ოფიციალურად, ყველა ის პროცედურა ჩატარდა, რომელიც მანამდე, მოსამართლის სახლში. კომპოტში ზუსტად იგივე საძილე საშუალება აღმოჩნდა, რაც მოსამართლის კონიაკში იყო და ყველაზე მთავარი – სპერმა მოსამართლის სხეულში (და არა სხეულზე) აღმოჩენილს დაემთხვა. ახლა მთავარი იყო, ამ ბავშვსა და მოსამართლეს შორის, გამოძიებას რამე კავშირი ეპოვა, თუმცა ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, არც მოსამართლე იცნობდა ბავშვს და პირიქით, არც ბავშვი – მოსამართლეს.

„ვერაფერს ვხვდებოდი. წესით, ეს ორი საქმე უნდა გამეერთიანებინა, მაგრამ პირველ შემთხვევაში, არ მყავდა მომჩივანი ანუ მოსამართლემ არ იჩივლა და საქმეების გაერთიანებაც გამორიცხული იყო, თანაც მოსამართლემ მთხოვა, რომ ეს არ გახმაურებულიყო. ამასობაში კი ჩემმა ოპერმა ძალიან საინტერესო კავშირს მიაგნო“, – იხსენებს ბაატონი თენგიზი.

მოკლედ, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა ძველი საქმეები გაქექა და აღმოაჩინა, რომ დაახლოებით, 9 წლის წინ, ერთ-ერთი პიროვნება გოგონას გაუპატიურების ბრალდებით გაასამართლეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ჰოდა, იმ კაცის სასამართლოზე მთავარი მოწმე, დაზარალებული გოგონას დედა იყო. გამომძიებელმა საქმეს ჩახედა და გაშრა – აღნიშნულ საქმეზე მოსამართლე, სწორედ მისი მეგობარი ქალბატონი გახლდათ. მაშინვე დაურეკა, შეხვედრა სთხოვა და მოსამართლემაც საქმე მარტივად გაიხსენა – „ყველაფერი ცხადი იყო, ანალიზები, მოწმეები, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღე“.

ამის მიუხედავად, გამომძიებელმა იმ ბრალდებულის მონახულება გადაწყვიტა, რომელიც წესით, კვლავ ციხეში უნდა ყოფილიყო. მონაცემები შესაბამის უწყებაში გაგზავნა და პატიმართან შეხვედრა ითხოვა, მაგრამ სასჯელაღსრულებიდან ამცნეს, ერთი წლის წინ, ეგ პატიმარი ტუბერკულოზით გარდაიცვალაო. ორი ვარიანტი რჩებოდა – ან ვიღაც მის ნაცვლად იძიებდა შურს, ან გამოძიებას დამნაშავე სხვაგან უნდა ეძებნა.

„იმ კაცის გარშემო ტრიალი დავიწყე და გავარკვიე, რომ მას ახლადმოყვანილი ცოლი ჰყავდა. მოვძებნე ეს ქალი და როცა მისი ვინაობა გავარკვიე, დაპატიმრების გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია. ეს ქალი მოსამართლესთან დამხმარედ მუშაობდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

პირველ დაკითხვას მოსამართლეც დაესწრო და...

„როცა ჩემი ქმარი გაუპატიურებაში დაადანაშაულეს, კინაღამ გავგიჟდი. თაფლობის თვე გვქონდა და ერთი წუთითაც კი არ ვშორდებოდით ერთმანეთს. ამიტომ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი ქმარი ვიღაცამ ამ საქმეში ძალით შეტენა, მისი კვალი კი იმიტომ გაჩნდა იქ, სადაც გაჩნდა, რომ მთელ დროს სასტუმროში ვატარებდით და იქიდან ნივთმტკიცების მოპოვება რთული არ იყო. არ ვიცოდი, ვის დაეფარეს მაშინ ხელი, მაგრამ მერე გავიგე, რომ იმ მოწმემაც ფული აიღო, გამომძიებელმაც და მოსამართლეზე ამბობდნენ, არაფერი იცოდა, მაგრამ არ მჯერა. მოკლედ, ერთ-ერთი ჩინოვნიკის შვილი „გამოაძვრინეს“. ყველაფრის მიუხედავად, ქმარს ველოდი და ვერ მოვესწარი, მომიკვდა... მერე გადავწყვიტე შურისძიება, როგორ მოვეწყვე მოსამართლესთან, არაა საინტერესო, „ატმიჩკების“ გამოყენება ადრეც ვიცოდი, მამა მყავდა საკეტების ხელოსანი, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო“, – განაცხადა ქალმა და მოსამართლე ფეხზე წამოხტა – „მე არაფერი ვიცოდი, საერთოდ არაფერი, საქმეში კი ყველა მტკიცებულება იყო... და მთავარი – მე ვინ გამაუპატიურა?!“

„არავინ, ქალბატონო მოსამართლევ. არც თქვენ და არც ის ბავშვი, არავის გააუპატიურებია. ერთი „აზაბოჩენი“ მეზობელი მყავს, ბერბიჭაა, მაგას ვთხოვე, სპერმა მჭირდება, რაღაც მალამოებს ვამზადებ-მეთქი. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, იმის სპერმაა, უბრალოდ, ვიყენებდი, არავის არავისზე უძალადია, მე გავაკეთე ზუსტად ის, რაც გაუკეთეს ჩემს ქმარს, თითქოს გააუპატიურა და სინამდვილეში... აღარ მინდა საუბარი, მაინც ვერ გაიგებთ“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

ძალიან დიდი ალბათობით, ქალის საბოლოო განაჩენზე მოსამართლემ იმოქმედა და საკუთარი კავშირები სრულად აამუშავა. მძიმე ბრალდებების მიუხედავად, ქალს სამწლიანი პირობითი აკმარეს.

ბათო ჯაფარიძე

სათამაშო დათუნიაში დამალული განძი

რატომ იძალადა ნაცხარმა მამაკაცმა 8 წლის გოგონაზე

სამწუხაროდ, თვე თუ არა, კვარტალი ისე არ გადის, მცირეწლოვანის მიმართ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულზე არ გავიგოთ. რატომღაც მგონია, რომ აღნიშნულ დანაშაულზე სასჯელი მკაცრი არ არის და ურიგო არ იქნება, თუ ასეთ დროს უვადო პატიმრობასაც განიხილავენ. არასრულწლოვნებზე ძალადობა არ არის რიგითი დანაშაული, ვფიქრობ, ეს დიაგნოზია, დიაგნოზი, რომელიც არ იკურნება...

საბჭოთა კაავშირის დროს, არასრულწლოვნებზე ძალადობა უკრაინაში, ბელორუსსა და განსაკუთრებით რუსეთში უცხო ხილი არ იყო, თუმცა სამართალდამცავები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ამ ტიპის დამნაშავეები შემდეგ შესაბამის საკანში მოხვედრილიყვნენ და მოძალადეებს ხშირად პოულობდნენ სასტიკად ნაცემს, ჩამომხრჩვალს, ვენებგადაჭრილს... საქართველო იყო ის ერთ-ერთი რესპუბლიკა, სადაც ასეთი ტიპის დანაშაულები ძალიან, ძალიან იშვიათად ხდებოდა და თუ ხდებოდა, მაშინვე გამოცდილი გამომძიებლები ერთვებოდნენ, რათა საქმე ბოლოში მალე გასულიყო და ქვეყანაში პანიკა არ დაწყებულიყო. ამიტომ, როცა მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი 8 წლის გოგონასთან ერთად მივიდა და განაცხადა, ჩემს შვილზე ძალადობა სცადესო, ფეხზე არა მარტო ის განყოფილება, არამედ, დედაქალაქის მთელი შემადგენლობა დადგა.

„სახლთან ახლოს პურის მაღაზია გვაქვს. ყველა გამყიდველი იცნობს ჩემს შვილს და იშვიათად, თუმცა პურზე მაინც ვაგზავნი ხოლმე. მას არც გზის გადაჭრა უწევს, არც დიდი მანძილის გავლა, სახლიდან მაღაზიამდე 50 მეტრია. ამჯერადაც ასე იყო, ბავშვი დილით გავგზავნე მაღაზიაში, თან საყვარელი დათუნია წაიყვანა და ყველაფერი სწორედ მაღაზიაში მოხდა“, – დაიწყო ქალმა მოყოლა და სანამ გააგრძელებდა, გამომძიებელმა გამყიდველების მოყვანა ბრძანა. ისტორიაც სწორედ გამყიდველებისგან ანუ პირდაპირი მოწმეებისგან მოისმინა.

„ამ ბავშვს ვიცნობთ, საყვარელი გოგონაა. დღესაც, მაღაზიაში რომ შემოვიდა, პური აიღო, თან თავის განუყრელ დათუნიას იხუტებდა. მასთან ვიღაც ახალგაზრდა კაცი მივიდა და გამოელაპარაკა, მერე თავზე ხელი გადაუსვა, რაც არ მომეწონა. დახლიდან გამოვედი და ამ კაცისკენ დავიძარი, ის კი გოგონას ეფერებოდა, როცა დამინახა ვუახლოვდებოდი, მოულოდნელად ბავშვს ხელი ჰკრა, სათამაშო გამოსტაცა და გაიქცა“, – განაცხადა გამყიდველმა.

საჭირო იყო ბავშვის დაკითხვა, მაგრამ ეს ძალიაან ფრთხილად უნდა მომხდარიყო. ამიტომ, ბავშვთა ფსიქოლოგს (იმ დროისთვის იშვიათი პროფესია) უხმეს და გოგონა მშობლის თანდასწრებით, ძალიან ფრთხილად გამოჰკითხეს. ბავშვი ჯერ ტიროდა, შემდეგ კი ყველაფერი თქვა.

„ის ბიძა მოვიდა და მითხრა, რა კარგი დათუნია გყავს, თუ გინდა, მაჩუქე და მე კანფეტებს გიყიდიო. მე უარი ვუთხარი, ის თან მეფერებოდა და თან მეჩურჩულებოდა, ბევრ კანფეტს გიყიდი, მთელი ცხოვრება რომ გეყოფა, იმდენს, აქვე გიყიდიო. მერე გამყიდველი დეიდა მოვიდა, იმ ძიამ კი ჩემი დათუნია წამართვა და გაიქცა“, – სულ ეს იყო, რაც გოგონამ თქვა და გამომძიებლებმაც ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადახედეს. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, გოგონა ჯიუტად იმეორებდა, ის ძია მხოლოდ თმებზე მეფერებოდაო და გამყიდველიც ამტკიცებდა, თავის გარდა, ბავშვს არსად შეხებიაო. არ ჰგავდა დათუნიას გამტაცებელი მოძალადეს, თუმცა კანფეტის შეთავაზება და დაპირება მაინც საეჭვოდ ჟღერდა. გამყიდველის მონათხრობის მიხედვით, სამართალდამცავებმა ფოტორობოტიც შეადგინეს, მაგრამ როცა ბავშვს ანახეს, მან თავი გადააქნია, იმ ძიას საერთოდ არ ჰგავსო. სამაგიეროდ, ერთ-ერთი მყიდველი, რომელიც ახლაგაზრდა კაცს მაღაზიის კარში შეეჩეხა, ამბობდა, რომ ფოტორობოტი მაქსიმალურად მიახლოებული იყო დათუნიას გამტაცებლის სახესთან.

გამომძიებლებმა ფოტოს შედარება ძალადობაში ადრე ნასამართლევ თუ ეჭვმიტანილ პირებთან დაიწყეს, თუმცა არცერთს მიახლოებითაც კი არ დაემთხვა. ეს ძალიან ცუდი იყო, რადგან გამოდიოდა, რომ ქალაქში ახალი მოძალადე გამოჩნდა, რომლის სახელი და გვარი სამართალდამცავებმა არ იცოდნენ და რაც მთავარია, არც მისი ანაბეჭდები ჰქონდათ.

როგორც გამყიდველი ყვებოდა, მას მაღაზიის სახელურზე გასვლისას ხელი არ შეუხია, შემომსვლელს დაეჯახა და ისე გავარდა. აი, შესვლისას კი შეახებდა, მაგრამ... გოგონაც და გამყიდველიც ამბობდნენ, მამაკაცს ხელთათმანები ეკეთაო. ძალოვნებმაც დაასკვნეს, რომ მოძალადემ კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა და ხელთათმანებიც ანაბეჭდების დაფარვის მიზნით ეკეთა. დათუნიას ისტორიაც მალე გაარკვიეს, გოგონას ის ძველმა მეზობელმა მაშინ აჩუქა, როცა 2 წლის იყო და ნაჭრის სათამაშო ბავშვს მას შემდეგ გვერდიდან არ მოუცილებია, მასთან ერთად ეძინა, ჭამდა, სეირნობდა...

ფოტორობოტი ყველა განყოფილებაში გაგზავნეს, მაგრამ ვერავინ ამოიცნო ანუ ძალოვნებს ფოტოზე აღბეჭდილი პირი არ ეცნობოდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის კრიმინალი არ იყო და თუ თავს მალე არ გამოავლენდა, მისი დაჭერა გართულდებოდა. ფსიქოლოგებმა ისიც თქვეს, დიდი შანსია, სათამაშო იმიტომ წაიღო, რომ ბავშვის სუნი ჰქონდა და თუ ასეა, მაშინ საქმე ნამდვილად მოძალადესთან გვაქვსო.

მომხდარიდან, დაახლოებით, ორი კვირა იყო გასული და რამე სიახლე ან წინსვლა აღნიშნულ საქმეზე ძალივნებს არ ჰქონდათ. ეგ კი არადა, ისე, რომ მშობლებს არ უთხრეს, გოგონას ოპერმუშაკები 24-საათიან რეჟიმში უთვალთვალებდნენ, იქნებ, მოძალადე კიდევ გამოჩნდესო, მაგრამ ბავშვს ახლოსაც კი არავინ გაკარებია. გოგონას მეორე დათუნია უყიდეს მშობლებმა, თუმცა ის მაინც ძველს მისტიროდა.

ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, საქმის გამომძიებელს ქუჩაში გოგონა და დედამისი შეხვდნენ. მოულოდნელად, დედამ საყვედურნარევი ხმით თქვა, რა ხდება ჩვენს ქალაქში, ჩემს შვილს რომ დათუნია წაართვეს, მესამე დღეს, ჩვენი ძველი მეზობლის ბინა გაქურდეს – იმის, ვინც ეს სათამაშო ბავშვს აჩუქა, თავს უსაფრთხოდ ვეღარ ვგრძნობთო. ქალის სიტყვებმა გამომძიებელი ჯერ ჩააფიქრა, შემდეგ კი...

სამართალდამცავებმა ძველი მეზობლის შესწავლა დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ ქალს მეუღლე ჰყავდა, რომელიც ბინების ქურდობის ბრალდებით იყო დაკავებული, თუმცა სახლებიდან წაღებული ძვირფასეულობა ვერ უპოვეს. აყვანის დროს, ის ფანჯრიდან გადახტა, შემდეგ მტკვრისკენ გაიქცა და რაღაც გადააგდო. მოგვიანებით თქვა, რომ ძვირფასეულობა ნივთმტკიცების სახით მოიცილა, მაგრამ რამდენიმე ბინაში მისი ანაბეჭდები იყო და მარტივად გაასამართლეს. ჰოდა, ეს კაცი ციხიდან ერთი თვის გათავისუფლებული გახლდათ და როგორც კი კარტოთეკაში ჩაკრულ ფოტოს დახედეს, მიხვდნენ, რომ ფოტორობოტზე აღბეჭდილი კაცი და ბინის ქურდი ერთ და იგივე პიროვნება იყო. ის იმავე საღამოს, სოფელში მდებარე სახლში დაუკავეს. მუცელგამოფატრული დათუნიაც მის სახლში ნახეს.

„როცა დამიჭირეს, ცოლი მაშინვე დამშორდა, ქურდთან ვერ ვიცხოვრებო. ნაქურდალი დათუნიაში მქონდა შენახული, რომ გამოვედი, მოვიკითხე და მითხრა ვისაც აჩუქა, ამიტომ წავართვი ბავშვს სათამაშო, მაგრამ იქ არაფერი იყო. მერე ყოფილი ცოლის ბინა დავათვალიერე და იქაც ვერაფერი ვიპოვე, მაგრამ ჩემს ყოფილს იმდენი ავეჯი და ისეთი ძვირფასი ნივთები აქვს შეძენილი, სავარაუდოდ, ძვირფასეულობა მან იპოვა და ჩემთან ერთად ისიც უნდა გასამართლდეს“, – დაასკვნა დაკავებულმა.

სამართალდამცავებმა ქალიც დაკითხეს, მაგრამ მან ხელები გაასავსავა, რა მოპარული ძვირფასეულობა, ყველაფერი ჩემი ძმის მიერ არის ნაყიდი, რუსეთშია სამუშაოდ წასული და ფულს იქიდან მიგზავნისო. გამომძიებლებმა ბიჭი მოიკითხეს და საინტერესო პასუხიც მიიღეს. ახალგაზრდა კაცი რუსეთში რამდენიმე წლის წინ ჩავიდა, სერიოზული თანხა გადაიხადა და სარფიან ადგილზეც მოეწყო. აი, საიდან ჰქონდა თანხა, არავინ იცოდა და გაჩნდა ეჭვი, რომ ძვირფასეულობას სწორედ მან მიაგნო. ის დაკითხვაზე საქართველოში დაიბარეს და როცა გამომძიებლის ოთახში შეიყვანეს, მაგიდაზე სწორედ ის დათუნია იდო. სათამაშოს დანახვისთანავე, შემოსული შეკრთა, თუმცა შემდეგ გაიღიმა და გამომძიებელს პირდაპირ უთხრა – „ყველაფერი ერთი შეხედვითაც გასაგებია, მაგრამ მტკიცებულების არარსებობის გამო, მე ვერ დამაკავებთ!“

და ის სავსებით მართალი იყო – გამოძიებას მტკიცებულება არ ჰქონდა, გარდა ბინის ქურდის მონაყოლისა, რომელიც ყოფილი ცოლის ბინის გატეხვის გამო, კვლავ ციხეში შეაბრუნეს.

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ 21-ე საუკუნეა, ფოსტა მაინც მუშაობს. ამანათების გაგზავნა ვერაფერმა ვერ ჩაანაცვლა. გასაგებია, რომ წერილებს მეგობრები ერთმანეთს აღარ წერენ, არც ბებია-ბაბუებს მოიკითხავენ შვილიშვილები წერილებით ქალაქიდან სოფლად, უბრალოდ, ტელეფონზე ურეკავენ და ისე იგებენ ამბებს. ამანათები კი... ადრეც იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება.

როგორ მოიპარა კულტურის სფეროს წარმომადგენელმა 70 ათასად შეფასებული მონეტები

უცნაური საქმის სკანდალური დეტალები

ალბათ, ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რომ ადრე ამანათებს ორჯერ წონიდნენ, პირველად მაშინ, როცა ფოსტაში მიჰქონდათ და მეორედ მაშინ, როცა ადრესატს აბარებდნენ. წონა ერთმანეთს უნდა დამთხვეოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამანათიდან არაფერი იყო ამოღებული და დაკარგული. ახლა საბოლოო წერტილზე ამანათს თავად თუ აწონით და მასზე დაკრულ წონას თუ შეადარებთ, თორემ ფოსტას მისი აწონვის ვალდებულება აღარ აქვს.

1980 წელი იმით იყო გამორჩეული, რომ საბჭოთა კავშირი ებრაელებმა მასობრივად დატოვეს. ისინი ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებოდნენ და კი დებდნენ პირობას, უკან მალე ჩამოვალთო, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ დამბრუნებელი თითქმის არავინ იყო. ჰოდა, ყიდდნენ ებრაელები აქ დაგროვებულ დოვლათს, თან მხოლოდ ძვირფასეულობა მიჰქონდათ, ისიც ზომიერად, რადგან ბევრს საზღვარზე არ ატანდნენ.

ებრაელებისგან იცლებოდა სამტრედიაც, რაიონი, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. სწორედ სამტრედიაში მოხდა შემთხვევა, რომელიც, შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელოში იყო შესატანი, თავისი უნიკალურობის გამო. ყველაფერი კი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად დაიწყო.

ფოსტის თანამშრომელმა ე.წ. ამანათებით დატვირთული „ბუტკა მოსკვიჩი“ დაქოქა და ჩამოვლა დაიწყო, საღამომდე სურდა, მოესწრო ამანათების დარიგება, ნაშუადღევს სახლში შეიარა, ისადილა და მანქანაში დაბრუნდა. როცა ავტომობილი დაქოქა და წავიდა, მოულოდნელად ბავშვმა გადაურბინა. მძღოლი მუხრუჭს მთელი ძალით დააწვა და ბავშვი, საბედნიეროდ, გადარჩა, თუმცა „მოსკვიჩის ბუტკაში“ რაღაც ხმაური გაიგონა, მანქანიდან გადმოვიდა, საბარგულის კარი გახსნა და სახეში ამანათი მოხვდა, შემდეგ კი ვიღაც კაცი გადმოხტა და გაიქცა. ფოსტის თანამშრომელმა მაშინვე მილიციაში დარეკა. ადგილზე სამართალდამცავებთან ერთად, ფოსტის თანამშრომლებიც მივიდნენ, რათა გაერკვიათ, რა იყო დაკარგული. ხანგრძლივი აღწერის შემდეგ, სამი ამანათი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც წონას არ ემთხვეოდა. სამიდან ორი მთლიანად გახსნილი იყო, ერთი – ჩვეულებრივად შეფუთული.

„ერთ-ერთ ამანათში ორი ცალი კინოფირი იდო და მითითებული გახლდათ, რომ ამანათის წონა 25 კილოგრამია. ეს მაშინ, როცა ფირები 5 კილოგრამსაც ვერ იწონიდა. გახსნილ ამანათში მცირე ზომის რკინის ბადე იდო და მისი გამგზავნი ამბობდა, სამი დედა-ფუტკარი მყავდა ჩასმული, მეგობარს გავუგზავნე თბილისში და ადგილამდე აუცილებლად ჩააღწევდა, რადგან ქაღალდი დახვრეტილი იყო და ფუტკრებს ჰაერის პრობლემა არ ექნებოდათო. აი, მესამე ამანათს, რომელიც წესით, 3 კილოგრამი იყო, 2 კილოგრამი აკლდა. გამგზავნი ამბობდა, რომ მეგობართან სასადილოს აქსესუარები გააგზავნა, კერძოდ, დანა-ჩანგალი, რომელიც ძვირფასეულობას არ წარმოადგენდა. დანა-ჩანგლის ნაწილი ადგილზე იყო, ნაწილი კი აკლდა“, – ეწერა გამომძიებლის პატაკში.

კინოფირების გამგზავნი კულტურის სახლის თანამშრომელი ამბობდა, ალბათ, ფოსტაში აურიეს რამე, მე არც ამხელა ყუთში ჩამიდია ფირები და არც 25 კილოგრამი დამიწერიაო. თავის მხრივ, ფოსტის თანამშრომელი ამბობდა, ამ კაცმა ყუთი ძლივს შემოიტანა შენობაში, მის თვალწინ ავწონე და ზუსტად 25 კილოგრამი გამოვიდაო. გამოდიოდა, რომ რომელიღაც იტყუებოდა, მაგრამ რომელი და რატომ, ეს იყო მთავარი. აი, დანა-ჩანგლის გამგზავნის ისტორია საერთოდ ცალკე თემა იყო. ის ამ არაფრადღირებულ სერვისს... ბაქოში აგზავნიდა, მიმღები კი აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახლდათ. რაში სჭირდებოდა მას იაფფასიანი სერვისი, ვერავი ხვდებოდა და დანა-ჩანგალს სპეციალური ექსპერტიზაც კი ჩაუტარეს, შემთხვევით, ოქრო ხომ არ იყო დამალული მონიკელებული ზედაპირის ქვეშ, მაგრამ მსგავსი არაფერი – ასეთი დანა-ჩანგალი ყველა საბჭოთა მაღაზიაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ეყარა. ისიც საოცარი იყო, ვის რაში დასჭირდა დედა-ფუტკრების ამანათის გახსნა და მათი მოპარვა თუ გაშვება. მოკლედ, გამომძიებლებს ერთბაშად რამდენიმე თავსატეხი გაუჩნდათ.

საქმე წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელად, აზერბაიჯანიდან ამანათის მიმღებზე საინტერესო ცნობა მოვიდა – აზერბაიჯანელი მამაკაცი თავგადაკლული ნუმიზმატი ყოფილა და მონეტების უიშვიათესი კოლექცია ჰქონია. სამტრედიელმა გამომძიებლებმა გაიხსენეს, რომ სხვა ებრაელებთან ერთად, მათი რაიონიდან ერთი ცნობილი ნუმიზმატიც მიდიოდა, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვებ მონეტებს საზღვარზე არ გაატანდნენ ანუ დიდი იყო შესაძლებლობა, რომ მას ყველაფერი ადგილზე გაეყიდა და ბაქოელი კოლეგა ამისთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა. ებრაელს თვითმფრინავის ბილეთი აღებული ჰქონდა ანუ მესამე დღეს, საბჭოთა კავშირი და შესაბამისად, საქართველო სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა. ის განყოფილებაში დაიბარეს და აუხსნეს, რომ თუ სიმართლეს არ იტყოდა, ისტორიულ სამშობლოს ვერასოდეს ნახავდა და გარდა იმისა, რომ მიზეზს აუცილებლად უპოვიდნენ და გაასამართლებდნენ, ქვეყნიდან გასვლას სამუდამოდ აუკრძალავდნენ. ებრაელმა ნუმიზმატმა, სიმართლის თქმის სანაცვლოდ, ერთი რამ მოითხოვა – ის აუცილებლად უნდა ასულიყო ორ დღეში თვითმფრინავზე და... არ უნდა გაეჩხრიკათ, რაზეც ძალოვნები დათანხმდნენ.

„მე მქონდა სამი ცალი ისეთი მონეტა, რომელიც დიდი ფული ღირდა. როცა გაყიდვა დავაპირე, ბაქოელი ნუმიზმატი დამიკავშირდა და მთელ კოლექციაში 70 ათასი მანეთი შემომთავაზა. ეს მაშინ, როცა ადგილზე 30 ათასადაც ვერ ვყიდდი. შევთანხმდით, ფული ჩამომიტანეს და იმ კაცმა თქვა, ამანათით გაგზავნე მონეტები, ხელით ტარება სახიფათოაო. მეც მეგობარს ვთხოვე და მისი სახელით დანა-ჩანგალთან ერთად გავგზავნე. რა მოხდა შემდეგ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მონეტები ადგილამდე ვერ მივიდა“, – განაცხადა ებრაელმა და ისიც დააყოლა, 30 ათასს ის კაცი მაძლევდა, ვინც იმავე დღეს კინოფირები გაგზავნაო.

სამართალდამცავებმა კულტურის სფეროს წარმომადგენელიც დააკავეს, მისი ბინის ჩხრეკისას კი მონეტებსაც მიაგნეს. რამეს დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

„მონეტები ძალიან მინდოდა, მაგრამ 70 ათასს ნამდვილად ვერ გადავიხდიდი. როცა მივხვდი, რომ ისინი ხელიდან მიმდიოდა, ჩემს მეგობარს ვთხოვე დახმარება. მეგობარი ჯუჯაა, ლილიპუტი, რა. ის ჩავსვი ამანათში და მივიყვანე ფოსტაში, ავუხსენი, რომელი ამანათი უნდა გაეხსნა, მაგრამ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც გვინდოდა“, – თავი ჩაღუნა დამნაშავემ.

თურმე, როცა ფოსტის თანამშრომელი სახლში მივიდა და სასადილოდ ბინაში ავიდა, ყუთში მყოფი კაცი ამოძვრა და საჭირო ამანათი გახსნა, მონეტები ამოიღო და ამანათი ახლიდან ფრთხილად შეფუთა. ამ დროს მანქანაც დაიძრა, შემდეგ უკვე მუხრუჭი, რის გამოც საბარგულში მყოფმა თავი ვერ შეიმაგრა და ერთ-ერთი ამანათი დააზიანა, იქიდან კი სამი დედაფუტკარი ამოფრინდა და საბარგულში ამბავი ატყდა. სიბნელეში კაცი ვერ მიხვდა, რომელი ფუტკარი სად კბენდა და ამიტომ ხმაური დაიწყო. შემდეგ, როცა ფოსტის თანამშრომელმა კარი გააღო, მან სახეში მომცრო ყუთი ესროლა, გადახტა და მონეტებიც წაიღო.

სამართალდამცავებმა პირობა შეასრულეს, ებრაელი სამშობლოში გაუშვეს, დანარჩენებს კი სასჯელი არ ასცდათ. როგორც ამბობენ, 80-იან წლებში, ისრაელში დაბრუნებულმა ებრაელებმა თან მილიონობით ღირებულების ძვირფასეულობა გაიტანეს, ერთი იმდენი, რაც წაიღეს, საზღვარზე ჩამოართვეს და მათი მცირე ნაწილი სახელმწიფოს გადაეცა, დიდი ნაწილი კი მაღალჩინოსანთა ჯიბეში წავიდა.

ასეა თუ ისე, საქართველოს აშკარად დააკლდა და დღემდე აკლია ის კოლორიტი, რასაც ქართველი ებრაელობა ჰქვია.

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული გ.ო. და 1986 წელს დაბადებული ჯ.მ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 11 ივნისს, თბილისში, დიღმის მასივში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ერთმანეთს ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობები მიაყენეს. ორივე დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები – ორი დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

კახეთის პოლიციამ თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარ მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.გ. დააკავეს, რომელიც დამამძიმებელ გარემოებაში რამდენიმე პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის იძებნებოდა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 მაისს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფლელ ძმებს – 1976 წელს დაბადებულ კ.მ.-ს და 1986 წელს დაბადებულ ბ.მ.-ს, ასევე, მათ დედას – 1954 წელს დაბადებულ ე.მ.-ს და საკუთარ შვილს – 1993 წელს დაბადებულ გ.გ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, კ.მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდათ.

სამართალდამცველებმა ბრალდებული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსთავში დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს.

შიდა ქართლის პოლიციამ სუპერმარკეტ „ლიბრეს" დაყაჩაღების ფაქტი გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 2005 წელს დაბადებული გ.თ. და 2003 წელს დაბადებული მ.ნ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, მიმდინარე წლის 8 ივნისს, ღამის საათებში, გორში, სუპერმარკეტების ქსელ „ლიბრეს" ფილიალს ყაჩაღურად თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა სუპერმარკეტის მოლარესა და კონსულტანტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ცივი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ, შემდეგ კი სუპერმარკეტიდან გაიტაცეს სეიფი, მასში მოთავსებული 815 ლარით.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციამ ორივე ბრალდებული დააკავა. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

რუსთავის საპატრულო პოლიციას ახალი ავტომობილები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის ევროპული სტანდარტის სამუშაო პირობების შექმნას, საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ავტოპარკის განახლებას.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს ახალი, სედანის ტიპის, ჰიბრიდულძრავიანი 10 ავტომობილი გადასცა.

სამინისტროში საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზანია საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელებისთვის უკეთესი, კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა.

ვაჟა სირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან სამუშაო თათბირი გამართა, მათ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა. ვაჟა სირაძე, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის ერთიანი მომსახურების ცენტრში იმყოფებოდა და თანამშრომლებს გაესაუბრა.

აღსანიშნავია, რომ ახალი ავტომანქანები ეკონომიურია, რაც შეამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, კერძოდ, საწვავისა და სერვისის ხარჯს. ამავდროულად, ახალ ავტომობილებს მინიმალური გამონაბოლქვი აქვს და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია. ბათუმისა და ქობულეთის შემდეგ, ეკოლოგიურად უსაფრთხო და თანამედროვე საპოლიციო ტრანსპორტი რუსთავშიც სრულად ჩაანაცვლებს საპატრულო პოლიციის მხოლოდ საწვავზე მომუშავე მანქანებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ავტოპარკს რეგულარულად აახლებს. გასულ წელს, პოლიციის დანაყოფების ავტოპარკი 700-მდე ახალი ავტომობილით განახლდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ინტერპოლის გენერალური სამდივნოს ორგანიზებით, საჩვენებელი სიმულაციური ვარჯიში ჩატარდა

„გეიგერის" სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, სარფში, ბათუმის პორტსა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მდებარე სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროსა და ინტერპოლის გენერალური სამდივნოს ორგანიზებით, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის თემაზე საჩვენებელი სიმულაციური ვარჯიში გაიმართა.

ორდღიან სიმულაციურ ვარჯიშში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, გენერალური პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლები.

„გეიგერის" სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილე 10 ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელს შესაძლებლობა ჰქონდა, ადგილზე გასცნობოდა და დაჰკვირვებოდა სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის, გამოვლენისა და აღკვეთის პრაქტიკულ ღონისძიებებს, საფრთხის შემცველ ობიექტებთან განხორციელებულ საექსპერტო-საგამოძიებო მოქმედებებს, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებულ უსაფრთხოებისა და დეკონტამინაციის აქტივობებს.

„გეიგერის" სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და ინტერპოლის სათავო ოფისის რადიაციული და ბირთვული ტერორიზმის პრევენციისა და პროექტების მართვის უფროსმა მენეჯერმა, აარონ მოსბიმ ბათუმში ერთობლივად გახსნეს.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს, როგორც რეგიონში მოწინავე შესაძლებლობების მქონე ქვეყნის, გამოცდილების გაზიარება სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის მიმართულებით, ასევე, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენისა და რეაგირების შესაძლებლობების განხილვა.

საქართველო-ბულგარეთი ანუ რატომ ისმოდა სტადიონის მიმდებარედ – „გადადექი“

ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრებმა 4 შეხვედრა ჩაატარა და 10 ქულა დააგროვა. გულახდილად ვთქვათ – ასეთ შედეგს არავინ ელოდა და შეიძლება გარანტირებულად ითქვას, რომ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ. კიდევ ორი შეხვედრა გვაქვს გასამართი, შინ მაკედონიასთან და სტუმრად გიბრალტართან და ამ ორ მატჩში ერთი მოგებაც გვყოფნის. მაკედონიელები კი ამბობენ, თბილისში 4:0-ს მოვიგებთ, შინ წაგებული 0:3 რომ გადავფაროთო, მაგრამ ჩვენი ნაკრების სათამაშო ფორმიდან თუ სტილიდან გამომდინარე, ეს ფანტასტიკის სფეროდ ჩანს. თანაც, მაკედონიელებს იმის იმედიც აქვთ, რომ გიბრალტარი ქულებს დაგვაკარგვინებს, რაც ასევე წარმოუდგენლად ჩანს. მერე კი საპლეიოფო მატჩები იწყება და ამ გადმოსახედიდან ისე ჩანს, რომ მეტოქედ საბერძნეთი გვეყოლება, თუმცა იქამდე შორია. მანამდე კი ის ვთქვათ, რაც არა მარტო ჩვენ, არამედ, არცერთ გულშემატკივარს არ მოეწონა.

ბულგარეთთან შეხვედრა 20.00 საათისთვის იყო ჩანიშნული და ბევრი რომ არ გვეწვალა, ოჯახთან ერთად, „დინამო არენის“ მისადგომებთან, ექვს საათზე ვიყავით. უკვე არეულობა იყო, რადგან გაიჭედა საიტი tkt.ge, რომელზეც გულშემატკივართა უმრავლესობას ჰქონდა ბილეთი ნაყიდი. შესაბამისად, თუ ბილეთი ჩამოტვირთული არ გქონდა, ვეღარ ტვირთავდი და შესაბამისად, შიგნით არ გიშვებდნენ. მოშლილი იყო სკანირების სისტემაც და ერთ კაცს, დაახლოებით, 3-4 წუთი უწევდა ტელეფონის ბრაგუნი სკანერზე, რათა აპარატს შტრიხ-კოდი დაენახა. ჰოდა, ნელ-ნელა, ყველა შესასვლელთან ხალხი მოგროვდა და როცა დიქტორმა შემადგენლობების გამოცხადება დაიწყო, „დინამო არენა“ სანახევროდაც კი არ გახლდათ შევსებული, გულშემატკივარი შიგნით უბრალოდ ვერ შედიოდა. ამავდროულად, გადამყიდველები აქტიურობდნენ და 5 ლარად ნაყიდ ბილეთებს 100 ლარად სთავაზობდნენ მსურველებს. ეს ცალკე უბედურებაა და ამის კონტროლიც შესაძლებელია, ბილეთები საპასპორტო მონაცემებით თუ გაიყიდება და შემდეგ ეს მონაცემები სტადიონზეც საჭირო იქნება, გადამყიდველების პრობლემა გადაიჭრება, მაგრამ საპასპორტო მონაცემები კი არა, ხელში რომ ბილეთი ჰქონდათ, ისეთ ხალხს უჭირდა შესვლა. ჰოდა, მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, ვიღაცამ „დინამო არენას“ ადმინისტრაციას გადადგომისკენ მოუწოდა და „გადადექი, გადადექი“ იქაც ისმოდა. შემდეგ კი ხალხმა იხუვლა და ბილეთიანი თუ უბილეთო ერთად შევიდა სტადიონის ტერიტორიაზე. მალე „დინამო არენა“ კიბეების ჩათვლით შეივსო და მატჩიც დაიწყო. შეიძლებოდა ამ შეხვედრის მოგება, თანაც მარტივად შეიძლებოდა, მაგრამ არ გამოვიდა, თუმცა უკვე კარგია, რომ ბულგარეთის დონის ნაკრებთან მიღწეული ფრე გულშემატკივარს აღარ აკმაყოფილებს.

ჰო, კიდევ ერთი – გასაგებია, რომ სტადიონზე ყველაფერი ძვირია და 400-გრამიანი კათხა ლუდი 7 ლაარი ღირდა, მაგრამ როცა იცი, რომ 50 ათასი გულშემატკივარი მოვა, ხომ შეიძლება, ცოტა მეტ ადგილზე გაიყიდოს ლუდიც, ჰოთ-დოგიც და სხვა გამაგრილებელი სასმელებიც. გარდა იმისა, რომ უზარმაზარი რიგები დადგა, სასმელ-საჭმელიც მალე გათავდა. 23 სექტემბერს მაკედონიას ვმასპინძლობთ, 26-ში კი გიბრალტარს ვსტუმრობთ და ჯგუფში პირველ ადგილს ოფიციალურად გავიფორმებთ. შემდეგ კი ცოტა იღბალი, ბევრი მონდომება და ასე ნანატრი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპიც აღარ ჩანს აუხდენელ ოცნებად.

ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის განრიგი ცნობილია

საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქის მოლოდინშია. კენჭისყრა მალე გაიმართება და აჭარული კლუბიც შეეცდება გულშემატკივარი გაახაროს. ხუმრობა ხომ არ არის, „დინამო“ ევროთასის ერთ-ერთ ჯგუფურ ეტაპს უმიზნებს და თუ ეს ჩემპიონთა ლიგა იქნება, გვერწმუნეთ, მთელი საქართველო ფეხბურთით იცხოვრებს. ბათუმელები პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას 5/6 ივლისს ჩაატარებენ, საპასუხო მატჩი 12/13 ივლისს გაიმართება. უდიდესი ალბათობით, გია გეგუჩაძის გუნდი პირველ ეტაპს დაძლევს, მეორე ეტაპზე მატჩები 19/20 და 26/27 ივლისს გაიმართება, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი 2/3 და 9/10 აგვისტოს შედგება, ჯგუფში გამსვლელი პლეი-ოფები კი 16/17 და 23/24 აგვისტოს.

ახლა მთავარი ის არის, მოახერხებს თუ არა პირველ ორ ეტაპზე მაინც გუნდის დახმარებას ხვიჩა კვარაცხელია. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს“ მთავარი ვარსკვლავი უკვე „ნაპოლის“ ფეხბურთელია და იტალიურ კლუბს სრული უფლება აქვს, 1 ივლისს, კვარა ოფიციალურად წაიყვანოს. კლუბებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და თემა სწორედ ეს გახლავთ – ხვიჩა „დინამოს“ საკვალიფიკაციო ეტაპზე დაეხმაროს.

ისე, იტალიელი გულშემატკივრები კვარაცხელიას სანაკრებო თამაშებს გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ და მისი ასპარეზობით აღფრთოვანებულებიც დარჩნენ. იტალიურმა მედიამ კი ჩვენებურს უკვე მეტსახელიც შეურჩია და „კვარადონა“ შეარქვა. მოგეხსენებათ, „ნაპოლი“ ის კლუბია, სადაც კარიერის საუკეთესო წლები დიეგო მარადონამ გაატარა და არგენტინელ ლეგენდასთან დატოლება უბრალო ამბავი არ გახლავთ.

ქეცბაიამ „ანორთოსისი“ დატოვა

კვიპროსულ „ანორთოსისს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. თემურ ქეცბაიას გუნდიდან თამაშემწეების გაშვება მოსთხოვეს, რაზეც ქართველმა სპეციალისტმა უარი განაცხადა და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულება შეწყდა. არადა, ქეცბაიას კლუბში კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა, თუმცა კონტრაქტის გაწყვეტის გამო, კუთვნილ 270 ათას ევროს ანუ წლიურ ჯამაგირს, ის მაინც მიიღებს.

ისე ჩანს, თემურს უქმად ყოფნა დიდხანს არ მოუწევს. მისი გადაბირება ჩვენს მეზობლებს სურთ და ქეცბაიას წინადადებით ბაქოს „ნეფთჩიმ“ უკვე მიმართა. როგორც აზერბაიჯანული მედია წერს, ქართველმა სპეციალისტმა კონკრეტული გარანტიები და რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა მოითხოვა, წესით, ბაქოელები მის პირობებს უნდა დათანხმდნენ და დიდი შანსია, თემომ აქვე, ახლოს იმუშაოს.

გადაწყდა: ზიდანი „პსჟ“-ში და ზღაპრული ხელფასი

ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ არაბი მფლობელი, აგერ უკვე მერამდენე წელია, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს, მაგრამ სანუკვარი ჯილდოს მოპოვება ვერა და ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, პარიზელები ლიგას მომავალ სეზონში განსაკუთრებულად შეუტევენ და შეიხი მზადაა, ტრანსფერებში მილიარდიც კი დახარჯოს. გუნდის მთავარ პრობლემად მწვრთნელი სახელდებოდა, რადგან სპეციალისტებს შეუძლებლად მიაჩნდათ, გუნდში მესის, ნეიმარისა და მბაპეს ყოფნის ფონზე, სასურველი შედეგი ვერ მიეღოთ. ჰოდა, ახლა ირკვევა, რომ უახლოეს დღეებში, პარიზულ კლუბს ზინედინ ზიდანი ჩაიბარებს. არადა, ზიზუმ რამდენჯერმე უარყო „პსჟ“-ს წინადადება, როგორც გარემოცვაში ამბობენ, მას საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნა სურდა და შეთავაზებას სწორედ ფედერაციისგან ელოდებოდა, თუმცა გამოსავალი აქაც მოინახა – კონტრაქტის თანახმად, თუ ზიდანს საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნას შესთავაზებენ, მას უფლება ექნება, როგორც კლუბში, ისე ნაკრებში იმუშაოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ჯამაგირი, რომელსაც ფრანგი სპეციალისტი მიიღებს, მისი წლიური შემოსავალი 25 მილიონი ევრო იქნება და ამ მაჩვენებლით, ის მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდება. თუმცა, გვერდიდან თუ შევხედავთ, ზიდანის 25 მილიონი, კილიან მბაპეს 100 მილიონთან შედარებით, სასაცილოდაც კი ჩანს.

შეგახსენებთ, მანამდე საუბარი ჟოზე მაურინიოზე მიდიოდა. პორტუგალიელ სპეციალისტს თითქოს ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა, მაგრამ როგორც ამბობენ, ზიდანის დანიშვნა თავად ფეხბურთელთა სურვილი იყო.

პირველი ხმამაღალი გარიგება – ნუნიესი 80 მილიონად გაიყიდა

პორტუგალიურმა „ბენფიკამ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 22 წლის დარვინ ნუნიესი მომავალ სეზონს „ლივერპულში“ დაიწყებს, მის სანაცვლოდ კი კლუბი 80 მილიონ ევროს მიღებს, თუმცა თუ ნუნიესი ინგლისში თავს გამოიჩენს, „ბენფიკაას“ დამატებით 20 მილიონი ერგება.

ასაკის მიუხედავად, ნუნიესს საუცხოო სეზონი ჰქონდა და ყველა ტურნირზე მან 34 გოლის გატანა შეძლო. აქედან 2 გოლი, ჩემპიონთა ლიგაზე ნუნიესმა, სწორედ „ლივერპულს“ გაუტანა და მწვრთნელსაც თავი სწორედ იმ შეხვედრაში მოაწონა. ახალი ფორვარდის შეძენის საკითხი კი „ლივერპულში“ მას შემდეგ დადგა, რაც კლუბიდან წასვლა 30 წლის შემტევმა, სადიო მანემ გადაწყვიტა. მისი სამსახურით მიუნხენის „ბაიერნია“ დაინტერესებული, საიდანაც თავის მხრივ, რობერტ ლევანდოვსკი წავიდა. ერთი ეგაა, მანეს სანაცვლოდ, გერმანელები 30 მილიონს იხდიან, ინგლისელები კი 40-ს ითხოვენ.

ვინ არის იონ ტირიაკი



ჩობურთის ახალგაზრდა გულშემატკივრებს იონ ტირიაკის სახელი, ალბათ, ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ ძველებს ის აუცილებლად ემახსოვრებათ, თუნდაც მისი უცნაური ულვაშის გამო. ტირიაკს ადრეც და ახლაც, უზარმაზარი ულვაში უმშვენებდა სახეს. ჰოდა, ეს რუმინელი ბერიკაცი საინტერესო მიზეზის გამო გაგვახსენდა...

ევროპულმა სააგენტოებმა იმ ჩოგბურთელების სია ჩამოწერეს, რომლებსაც კარიერის შემდეგ, სოლიდური შემოსავალი გაუჩნდათ და ზოგმა ბიზნესით, ზოგმაც კი სარეკლამო საქმიანობით, ეს შემოსავალი გაზარდა. სიაში მეათე ადგილზე ლეგენდარული ჯონ მაკონროია, რომლის ქონება 100 მილიონ დოლარადაა შეფასებული. მაკონროი დღემდე აქტიურადაა ჩართული საჩოგბურთო საქმეებში და დიდ ტურნირებზე, კომენტატორობის გარდა, ექსპერტობასაც ითავსებს.

მეცხრე ადგილზე, ასევე, 100 მილიონით ბრიტანელი ენდი მარია, მერვე ადგილი – 135 მილიონით, რუს მარია შარაპოვას უკავია, შემდეგ მოდის ლეგენდარული პიტ სამპრასი – 150 მილიონით, არანაკლებ ლეგენდარული ანდრე აგასი – 175 მილიონით, ამერიკელი სერენა უილიამსი, რომლის ქონებაც 180 მილიონადაა შეფასებული, ამდენივე 180 მილიონით, მეოთხე ადგილზეა ესპანელი რაფაელ ნადალი, 200 მილიონით, მესამეა სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი, მეორე ადგილს ისტორიაში, ერთ-ერთი საუკეთესო, როჯერ ფედერერი იკავებს – 450 მილიონი დოლარით და... პირველ ადგილზე, იონ ტირიაკი გახლავთ... – 2 მილიარდი დოლარით. ჰო, კარიერის დასრულების შემდეგ, საჩოგბურთო აგენტობითა და სხვადასხვა ბიზნესით, ამ კაცმა ქონება 2 მილიარდამდე გაზარდა. ბოროტი ენები კი ამბობენ, ჩაუშესკუს მეგობარი იყო და ფულიც სწორედ დიქტატურის დროს დააგროვაო, მაგრამ ფაქტია – ეს კაცი ჩოგბურთელებს შორის, ყველაზე მდიდარია, რუმინეთში მცხოვრებლებს შორის კი სიმდიდრით მესამე პოზიციას იკავებს.

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე
მრავალძალი
ზემო რაჭა

„წმინდა გიორგი მრავალძალისაო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ღუთისა ჭარელიძესა ქველსა“ – ასეთი წარწერა აქვს სორის იმ ტაძრის ფრესკის წარწერას, რომელიც 5-6 საუკუნის წინათ, ამ წარწერის გაკეთების დროს, „სორის ჯვარცმად“ იწოდებოდა. მაშ, რა შუაშია მრავალძალის წმ. გიორგი?

„ჯვარცმის“ (ახლანდელი „წმ. გიორგის“) ტაძრის გარდა სორში ადრე, ხეობის ზედა მონაკვეთში, სონტარულას ნაპირზე, მდგარა ჯაჭვის მონასტერი, რომელსაც გადაფშის მონასტერიც რქმევია. გადმოცემის თანახმად, იქ, თურმე, რკინის მშვილდისარი, ჯაჭვი და რკინისავე ისარი ინახებოდა, ეს ატრიბუტები კი წარმართული მთვარის ღვთაების მონაცვლე თეთრი გიორგის კუთვნილებაა. გარდა ამისა, **სორში სცოდნიათ ერთი დიდი ხატობა „ნაციხურობა“. იგი ნააღდგომევს, მეოთხე კვირას იმართებოდა და მოხატეები ფერხულის როკვით ეგებებოდნენ ორშაბათი დღის – თუთაშხის დადგომას. ეს დღესასწაულ-ხატობა მეორე, მესამე და მეოთხე კვირა – ორშაბათსაც იმართებოდა. პირველი ხატობა ახალმთვარეობას ეძღვნებოდა, მეორე და მესამე – შუა მთვარეობას, მეოთხე – მის ბოლო მეოთხედს. ხატობას „ნაციხურობა“ იმიტომ შემორჩა სახელად, რომ იგი თავიდანვე სოფლის თავში არსებულ ერთ ციხესთან და მის გვერდით მდგარ წმინდა გიორგის ნასაყდრალთან იმართებოდა.**

აი, ამ ოთხგზის ხატობის გამო ჰქვია ამ რელიგიურ კულტს მრავალი ძალის მქონე ანუ მრავალძალის წმ. გიორგი. იგი თავის არსში აერთიანებს მთვარის ღვთაებას, თეთრ გიორგის და ქრისტიანულ მთავარმოწამე წმ. გიორგის. აი, ვის ავედრებდა სორის ჯვარცმის საყდრის ფრესკაზე თავს საპყარ ერისთავი ქველი ჭარელიძე (იხ. წინა წერილი).

სერიალის პირველ ორ ნარკვევში ვამბობდი, რომ მზის კულტის თაყვანისცემა ამარანტში სავარაუდოდ, ძველი ეგვიპტელებისგან შევიდა 40-45 საუკუნის წინათ და მთვარის კულტს დაუპირისპირდა. მზის ღვთაება „რა“ სვანებმაც მიიღეს, მაგრამ მათთვის მთვარის კულტი „დოშდიში“, შემდგომში ჯგრააგი, მაინც პირველ ადგილზე დარჩა. საბოლოოდ მთელ საქართველოში მზე და მზის ღმერთი დედაღვთაებად ჩამოყალიბდა, მთვარის კულტი – მამაღვთაებად, შემდგომში კი თეთრ გიორგად. რაგინდ გვეუცხოვოს, ქრისტიანობის მიღების შემდეგ მზის ღვთაების ადგილი საქართველოში ღვთისმშობელმა დედა მარიამმა დაიკავა, ხოლო მთვარის და თეთრი გიორგის ადგილი – მთავარმოწამე წმ. გიორგიმ. ამიტომაა ჩვენში, რომ ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის სახელზე აგებული საყდრები ყველაზე მეტია, ხოლო ეს უკანასკნელნი უმეტესად მაღალ მთებშია აღმართული, ანუ იქ სადაც მთვარის ტაძრების აგება იყო მიღებული.

მრავალძალი: ხედი დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; აღმ. ფასადის რელიეფი – ორი წმ. გიორგი; ტაძრის წარწერა

ასეთ თეოფუნქციურ გადანაწილებაში, შეიძლება ზოგიერთი გაურკვევლობაც არის მაგრამ მათი განხილვა შორს წაგვიყვანს, თანაც ამ საკითხს, ასე თუ ისე, კვლავ შევეხებით.

... სოფელ **მრავალძალში** სორიდანაც შეიძლება ასვლა, ფარახეთის გავლით, მაგრამ ეს გზა, ერთის მხრივ რომ უვარგისია, მეორეს მხრივ **ქვემო** და **ზემო ბარს** აგვაცდენს, იქ კი ღვთისმშობლის ეკლესია გვეგულება. ასე რომ, სოფელ მუხლიდან მიმავალ, ოდნავ დაგრძელებულ, მაგრამ საუცხოო, ასფალტიან, გზას ალტერნატივა არა აქვს.

სახელწოდება ბარი, რომელიც მრავალძალისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ორ სოფელს ჰქვია, ბუნებრივია ვაკე-ბარს არ ნიშნავს, რადგან ისინი რაჭის ქედის გრეხილ კალთებშია შეყუჟული. სახელწოდება არც ბარ-ნიჩაბს გულისხმობს. მამა ავთანდილ გიორგობიანი ზურაბ კიკნაძის წიგნს („შუამდინარეული მითოლოგია“) გვახსენებს, სადაც „ბარი“ განმარტებულია როგორც უზენაესი ტაძარი. ა. გიორგობიანი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკასაც“ შეგვახსენებს. იქ ნათქვამია, რომ მეფე აიეტი თავს მზის ქალღვთაების ძედ მიიჩნევდა, ხოლო ასული მედეა კოლხთა უმთავრესი მზის საკულტო ტაძრის ქურუმი იყო. წიგნის ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მის მიერ ხიხამთის მასივში, სოფელ ბარის არეალში ნანახი „ნაეკლესიევი“ სწორედ მზის ტაძრის ადგილმონაცვლედ აგებული ღვთისმშობლის საყდრის ნაშთები იყო. ამას, მისი თქმით, საფუძველს უმაგრებს აკაკი ურუშაძის წიგნში(„ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“) ნათქვამი ფრაზა: „ ... მოგვითხრობენ, რომ მედეამ არგონავტები წაიყვანა არესის ჭალაკში მდებარე ქალაქში ... ამ ქალაქს ერქვა სი-ბარი-სი და კოლხთა დედაქალაქი (რელიგიური დედაქალაქი – ა.გ.) იყო.



ქვემო ბარის „მთავარანგელოზი“, ხედი ინტერიერში

თამაზ ბერიძე თავის ნაშრომში წერს რომ ეკლესია უშუალოდ ქვ. ბარშიც მდგარა, „საბუკე გორაზე“. იგი ადრე მთლიანად ყოფილა მოხატული, ხოლო კედლები სულ თლილი ქვისა ჰქონია. ეკლესია მაცხოვრის სახელზე ყოფილა აგებული და ჯაფარიძეებს კუთვნებიათ. საყდარს სამხრეთიდან ჩრდილოეთიდან მათი საგვარეულო აკლდამები ჰქონია მიდგმული. როგორც ირკვევა, 1651 წელს იმერეთის მეფის მოლარეთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძეს ამ დაბაში მიუღია რუსეთიდან მომავალი იქაური ელჩები ტოლჩანოვი და იევლევი. ერთ-ერთი წინა წერილიდან ვიცით, რომ თავად ჯაფარიძეთა თავდაპირველი ბუდე საკაოსხევი იყო, მაგრამ მერე ისე გაძლიერებულან, რომ რაჭის (მეტადრე ზემო რაჭის) ყველა მოწინავე სახლი დაუჩრდილავთ და სხვა სოფლებთან ერთად, ბარულაც დაუსაკუთრებიათ და მრავალძალიც.

ქვემო ბარში 8 გვარის ოჯახები ცხოვრობენ: ჩლაიძეები, გძელიძეები, გიორგობიანები, კახეთელიძეები, ჭიჭინაძეები, იობაშვილები, ღოთვაძეები და ბუხრაშვილები. ჩვენ მაცხოვრის ეკლესიის ნახვა გვაინტერესებს, მაგრამ აქაური ქალბატონი მეგი ჩლაიძე გვეუბნება ასეთი ეკლესია სოფელში არ არსებობდა, მხოლოდ ერთ ახალ ეკლესიას აშენებენო.

ქვემო ბარიდან „ხელცარიელი' მაინც არ გამოვდივართ, დასახლების ერთ უბანში საკმაოდ დიდი ეკლესიის ნანგრევებს ვაწყდებით. როგორც გვეუბნებიან, ეს ეკლესია „მთავარანგელოზია“. შეიძლება ასე არც იყოს, რადგან „ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის თანახმად „მთავარანგელოზი“, თითქოს ზემო ბარში უნდა იდგეს. ახლა ამ მკითხაობას აზრი არა აქვს და გადაღებას ვიწყებთ. ტაძარი XVII – XVIII საუკუნეებისაა, სიგრძეში დაახლოებით 21 მეტრია, სიგანეში – 3 მეტრით ნაკლები. ძნელი დასადგენია სამნავიანი იყო სამეკლესიანი თუ მინაშენებიანი, რადგან შიდა კედლები თუ სვეტები, საბურველთან ერთად ჩამოშლილია. ფაქტი ერთია: ცენტრალური დარბაზის სივრცე გვერდითა ნაგებობაზე გრძელია და შვერილი აბსიდივით გამოიყურება ფასადზე. კარი სამია: სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის, ისინი გარედან არქიტრავულია, შიგნით თაღოვანი. სარკმელები შედარებით ფართო და თაღოვანია. ოდნავ სახეცვლილი, დაგრძელებული ფორმა აქვს საკუთხევლის აბსიდის სარკმელს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეში მართკუთხედის ფორმის კვადრები და ხურდა ქვა. ბუნებრივია, რომ ეს ჯაფარიძეთა მიერ მათი ზეობის ბოლო ჟამს აგებული ტაძარია. კარგი ძეგლია, მაგრამ მაინც უკმარობის გრძნობით ვტოვებთ ქვემო ბარს. 'მოასფალტებული, გზა სერპანტინით სულ ზევით და ზევით მიემართება, ზღვის დონიდან 980 მ-ის სიმაღლიდან თითქმის 2000 მ-ის სიმაღლეზე ავდივართ. თვალწინ ზღაპრული სამყარო იშლება. ჩრდილოეთით კავკასიონის მწვერვალების ჯაჭვია, სამხრეთით, სულ რაღაც ასიოდ ნაბიჯში, ცასთან საუბარში გართული გუმბათიანი ტაძარი, ქვევით, რაჭის მთაგრეხილებში ჩაჭედილი სოფლები მზის სხივებზე აბრეშუმის ჭიებივით თრთიან.

მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიას ანუ როგორც მიღებულია, „მრავალძალს“ XI საუკუნის დასაწყისში, ე.ი. რაჭის საერისთავოს შექმნისთანავე, ჩაეყარა საფუძველი. როგორც გრაფინია პროსკოვია უვაროვა აღწერს, საყდარი მის დროს ჯერ კიდევ დარბაზული, ერთნავიანი ნაგებობა ყოფილა. 1894 წელს მისთვის აქეთ-იქით მკლავები მიუბამთ, ზევიდან ყელიანი გუმბათი დაუდგამთ, ხოლო დასავლეთიდან ორსართულიანი სამრეკლო მიუშენებიათ. ამასთანავე, ძველი ეკლესიის სამკაულიანი ქვები განახლებული ეკლესიისა და სამრეკლოს სხვადასხვა კედელში ჩაუფენიიათ. უცვლელად მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადი დაუტოვებიათ.1991 წლის მიწისძვრამ მრავალძალი სანახევროდ დაანგრია, რისთვისაც, სპეციალისტთა ეჭვით, ხელი შეუწყვია გუმბათის არასწორ გათვლებს. (ამასთან დაკავშირებით, როგორ არ გავიხსენო ქსნის ხეობაში ყანჩაეთის „კაბენის“ ბედიც. მიწისძვრის დროს მის ნგრევას არასწორმა მიშენებებმა და გუმბათმა „შეაშველა“ ხელი).

ამ საუკუნის დასაწყისში „მრავალძალი“,

დასასრული მე-16 გვერდზე

მე-15 გვერდიდან

როგორც იტყვიან ქვა-ქვა აკრიფეს და გუმბათის დადგმისას წინანდელი ოსტატების ცთომილებებიც გაითვალისწინეს. და აი, ახლა ვდგავარ განახლებული ტაძრის წინ, ნაადრევი თოვლით შეჭირხლულ მოლზე და მიხარია, რომ აღმოსავლეთ ფასადი, როგორც სახე და თვალი მრავალძალისა, კვლავ ძველებურად მომჩერებია.

ასეთი ტაძრების ხილვისას, ყოველთვის გიჩნდება სურვილი გაიგო მის დამკვეთისა და ამგების ვინაობა. ეს სურვილი უმეტესწილად შეუსრულებელია, ახლა კი, ვფიქრობ, ასე არაა. უცვლელი სახით დარჩენილ აღმოსავლეთ ფასადზე, ტაძრის უმთავრესი სარკმლის ორსავ მხარეს თითო-თითო კაცის ფიგურაა სრული ტანით. მათ თავზე შარავანდი ადგათ, მოკლე, სარტყელშემოჭრილი კაბა მოსავთ და ვიწრო მოგვები აცვიათ ფეხზე, ცალი ხელით იქედნესა და დიოკლიტიანეს კლავენ შუბით, მეორე ხელით კი, მისიის აღსრულების ნიშნად, აქვთ აღმართული. საპირისპიროდ მყოფი მხედრების შემთხვევაში წმ. გიორგისთან და წმ. თევდორესთან გვექნებოდა საქმე, აქ კი ორივე ქვეითია და თანაც ერთნაირი. აქ ორი გიორგი – მთავარმოწამე და თეთრი გიორგი ხომ არ იგულისხმება? ამ კომპოზიციის ქვეშ არსებული წარწერა ასეთია: „ ქრისტე, წმინდაო გიორგი, შეიწყალენ კეთილად მოღვაწენი ამის ეკლესიისანი“. სარკმლის თავზე მდებარე ქვაზე ამოკვეთილია ჯვარცმის სცენა ქრისტეს, ღვთიშობლის, იოანე მოციქულისა და ორი ანგელოზის გამოსახულებით. ჯვარცმის ქვეშ თმაწვერიანი მოხუცის თავია (სავარაუდოდ ადამის), ხოლო ჯვარცმის ზევით – წარწერა: **„ქრისტე, შეიწყალე ნიკოლოზი“.** ასეთ გამორჩეულ ადგილზე რიგითი პიროვნების სახელს არავინ ჩასვამდა. ის ტაძრის ქტიტორი და უთუოდ საერო კაცია, დიდი ალბათობით, ფარახეთის ხევისთავია (თუ რატომ ფარახეთისა, ოდნავ ქვევით ვიტყვი). ქტიტორის გარდა შემონახულია ხუროთმოძღვარ – კალატოზის სახელიც. სამკაულიან სარკმლის საპირეზე, რომელიც 1894 წელს აგებულ სამრეკლოს სამხრეთ კედელში ჩაუდგამთ, წერია: **„წმინდაო გიორგი, მეოხ ეყავ კალატოზსსა იოვანესა“.**



მრავალძალის 3 ხატი

ტაძარი დაკეტილი გვხვდება, რაც მოულოდნელი და მიუღებელი გვეჩვენება. არაერთი ტურისტი თუ მორწმუნე სანთელს ჩვენთან ერთად გარეთ ანთებს, ამდენად ტაძრის ინტერიერის დათვალიერებას ვერ ვახერხებთ. საინტერესოა, გადაურჩა თუ არა 1991 წლის მიწისძვრას საკურთხევლის ფრესკების ნაწილი და დიდი ღრმა ნიშები მაინც.

ორი საუკუნის წინ ექვ. თაყაიშვილს და გ. ბოჭორიძეს ტაძარში უნახავთ სხვადასვა, მდგომარეობაში მყოფი ათამდე ძვირფასი ხატი, ასევე ორი სახარება და სამოციქულო, ერთი ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და ორიც ხმალი. ერთი მათგანი, რომელსაც ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკული ქარქაში ჰქონია, ვხუშტი ბატონიშვილის თქმით, რატომღაც, შაჰ-აბას პირველის ნაჩუქარი ყოფილა. ხატებიდან ოთხი ცალი X და XI საუკუნეებისა ყოფილა. მათგან ორზეა წარწერა და ორივეგეან სწორედ ის ფარახეთისხევი წერია, რომელიც ეს – ესაა ვახსენეთ. 1) **წმ. გიორგის ხატი Xს. 48 X43სმ, ოქროთი დაფერილი ვერცხლი, წარწერა: „წმინდაო გიორგი შეიწყალე ესე ხევი ფარახეთისა“.** 2) **წმ. გიორგის ხატი, XI ს. 23 X 19სმ. ოქრო, წარწერა: „წმინდა გიორგი მრავალ ძალო ... ხეთისაო, მეოხ და (მ)ფარველო ექმენ ხევსა (ხეთისა)ს, წარუმართე“.** ფარახეთი და მრავალძალი ერთ ვერტიკალზე მდებარეობენ და ძველი გზა ორი მცირე ხევის წყალგამყოფ სერზე მდებარეობს. ფარახეთი ამ ორი ხევის შუაგულშია და მთელ ამ ტერიტორიას, ქვევიდან ზემო წერტილამდე, ძველად, ფარახეთისხევი და ფარახეთის თემი ერქმეოდა.

ახლა ისევ,“ მრავალძალის წმინდა გიორგის“ დავუბრუნდეთ.

როდის აღინიშნება მრავალძალში გიორგობა? რა თქმა უნდა ყოველ 6 მაისს და 23 ნოემბერს მართმადიდებლურ – ქრისტიანული კალენდრით. მაგრამ სულ ეს როდია. ადრე ლამის მთელი იმერეთიდან აქ 15 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღეს ამოდიოდნენ. რატომ? სიონის ტაძრები სხვაგან არ იყო, რომ მარიამობა მაინცდამაინც 2000 მეტრის სიმაღლეზე არ აღენიშნათ წმინდა გიორგის ეკლესიაში? და ასე ხდებოდა არა მარტო აქ , არამედ ქართლში („გორისჯვარობა“, „გერისთობა“) და კახეთში (აწყურის „თეთრი გიორგობა“), სადაც ხალხი 15 აგვისტოს და ყოველ მის სწორს 3 – ჯერ აღნიშნავდა. ამათგან აწყურის „თეთრი გიორგობა“ უნდა გამოვყო, რომელზეც მინიშნებას სტრაბონი აკეთებდა და რომელსაც მეც დავსწრებივარ. მოვუსმინოთ ივ. ჯავახიშვილს: **„ყველა ჩვეულებანი, ზვარაკის შეწირვა, ქადაგად დაცემა და სხვა 14 აგვისტოს, მწუხრის დროს იწყება და მთელ ღამეს გასტანს ხოლმე; თეთრ – გიორგობაში ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა, მთვარე კი რასაკვირველია, მწუხრის დროს, საღამოთი გამოჩნდება და ღამეს ანათებს ხოლმე ... 14-15 აგვისტოს მთვარის აღვსებაა“.**

აწყურის წმ . გიორგიც თეთრი გიორგია, თეთრი, სავსე მთვარიდან მის მცხრალობამდე გატარებული მრავალი დღის ხატობის ძალაა, თანაც ქრისტიანული „მარიამობის“ ძალის დამატებით. აწყურის წმ. გიორგის დეკანოზმა, აწ. გარდაცვლილმა მამა ალექსი ძამუკაშვილმა ერთხელ მითხრა: „მართლაც დიდი და წმინდაა ჩვენი კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე, მღვდელთმთავარნი თუ დეკანოზნნი გაგვარფრთხილა – ძველი სარწმუნოების ხალხს დევნა არ დაუწყოთო“. აღარ მიკითხავს რა მოხდა მამა ალექსის გარდაცვალების შემდეგ აწყურში. ვერც მრავალძალში მომიხერხდა ასვლა რომელიმე 14-15 აგვისტოს. თუ ეს მრავალძალობა და თეთრგიორგობა აიკრძალა, თუ ამ ტაძრებთან ქრისტიანული გალობების პარალელურად „იავნანას“ აღარ იმღერებენ, ცუდად ყოფილა საქმე. ძველი რწმენა, რომელიც დასაბამიდან მოგვდევდა და ქართველები ქრისტიანობამდე მოგვაცილა, ისტორიაა, ჩვენი თავგადასავალია, უფრო მეტიც – ჩვენი იდენტობის ერთი მაშველი რგოლია ამ წაბილწულ, გადარეულ ჟამთა ოკეანეში.

... და მე დავინახე მრავალძალთან ამოსული თეთრი ხარი, რქებით ცას წვდებოდა და მშვიდად ძოვდა შეფიფქულ მწვანე კორდზე.

ფილტვის კიბოს უსაფრთხოდ უმკურნალებენ



პოლონელმა სწავლულებმა ფილტვის კიბოსთან ბრძოლის ახალ მეთოდს მიაგნეს, რომელიც ჯანმრთელი უჯრედებისთვის ტოქსიკური არ არის. მათი დასკვნები სამეცნიერო ჟურნალში International Journal of Molecular Sciences გამოქვეყნდა. მკვლევარებმა ნაერთის სინთეზირება განახორციელეს, რომელიც მაღალი სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობით გამოირჩევა. ვერცხლის ნანონაწილაკები უზრუნველყოფენ უსაფრთხო თერაპევტულ აგენტებს კიბოს მკურნალობისას.

„ამგვარად, შესაძლოა, მივიღოთ სიმსივნის საწინააღმდეგო ახალი აგენტები“, - ნათქვამია კვლევაში. სტატიაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებით, ყველა ონკოლოგიურ დაავადებათა შორის, ფილტვის კიბო სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია. 2018 წელს, ონკოლოგიით გამოწვეული სიკვდილობის 20% სიმსივნის ამ სახეობას უკავშირდებოდა. მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ფილტვის კიბოს შემთხვევების 80-90%-ში, დაავადების გამომწვევი მიზეზი მოწევას უკავშირდება.

ვისია ყველაზე გემრიელი სამზარეულო

რა თქმა უნდა, იტალიის! ამას ადასტურებს კულინარული ონლაინ-გზამკვლევის საიტზე testatlas.com გამოქვეყნებული რეიტინგი, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოში ყველაზე გემრიელი სამზარეულო გამოავლინეს. საიტის მიხედვით, ამ ქვეყნის „ვარსკვლავური“ კერძებია „ფოკაჩა ბარეზე“ - ეს ხორბლის ერთგვარი ლავაშია, პომიდორებით, ასევე, „ნიოკო ფრიტო“ - ლომბარდიული სადღესასწაულო პური. აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ კერძებით მოუხიბლავს იტალიას მილიონობით ტურისტი.

რეიტინგში მეორე ადგილი საბერძნეთს ერგო, მესამეზე კი ესპანეთია. ლიდერთა სამეულს ჩამორჩება რუმინეთი - მისი მეოთხე ადგილი "ტოკიტურამ" (ღორის ხორცის რაგუ), ბადრიჯნისა და წითელი წიწაკის პასტამ და ასევე, საქონლის ხორცის სალათმა განაპირობა. საუკეთესო სამზარეულოების ხუთეულში მოხვდა მექსიკაც. ტოპ-ათეულში შედის, ხორვატიული, ფრანგული, იაპონური, პორტუგალიური და ბულგარული სამზარეულოები. მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამზარეულო, Taste Atlas-ის რეიტინგში, მხოლოდ 28-ე ადგილზე აღმოჩნდა.

მამაკაცებს სამშობიარო ტკივილებს განაცდევინებენ

ჩინელ მამაკაცებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეიგრძნონ ის ტკივილი, რასაც ქალები მშობიარობისას განიცდიან. ეს აქცია დედობის მხარდასაჭერად ტარდება და მასში მონაწილეობა უფასოა. მამაკაცის მუცელზე ამაგრებენ გადამცემებს, რომლებიც ელექტრულ იმპულსებს გადასცემენ. მონაწილეები თავიდან მხოლოდ უმნიშვნელო ჩხვლეტას გრძნობენ, მაგრამ ყოველი წუთის შემდეგ, ექიმი აძლიერებს ძაბვას. ბოლო, მე-12 დონეზე ჩხვლეტა უკვე ყველაზე ძლიერ სამშობიარო ტკივილებს უთანაბრდება.

„სიტყვებით ვერ აღვწერ, ეს უბრალოდ, წამებაა. ახლა ვიცი, ბავშვის გაჩენა რა მძიმეა! ასე რომ, მამაკაცებმა უკეთ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს საყვარელ მეუღლებზე“, - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

უჩვეულო მეთოდი კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ

ინდოეთის რაჯასტანის შტატში, კლიმატის ცვლილების შედეგებისგან თავის დასაღწევად ახალი მეთოდი მოიფიქრეს - ადგილობრივები მცენარეებს რგავენ დაკრძალვების, ქორწილების, ბავშვების დაბადებისა და სხვა მნიშვნელოვანი ოჯახური მოვლენების აღსანიშნავად. შტატის მცხოვრებლებს სურთ, გაუდაბნოებული მიწები ხეების დარგვით გაამწვანონ და ინდოეთის ტყის რესურსები შეინარჩუნონ.

აღსანიშნავია, რომ ისინი მხოლოდ ადგილობრივ მცენარეებს რგავენ, რადგან სხვა სახეობებმა, შესაძლოა, ეკოსისტემას ზიანი მიაყენონ. რაჯასტანის შტატი ნიადაგის დეგრადაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რადგან ტყიანი ზოლი ტერიტორიის მხოლოდ 8%-ს შეადგენს. მცენარეების დარგვის ნაციონალურ ტრადიციად ქცევამ გრუნტის წყლების დონე გაზარდა და მოსავალიც მეტი მოდის. ამ პერიოდისთვის, სულ შტატში, დაახლოებით, 3.5 მილიონი ხეა დარგული.

შეყვარებულზე გაბრაზებული მუზეუმში შეიჭრა

აშშ-ში, ტეხასის შტატში მდებარე ხელოვნების მუზეუმში შეპარულმა ამერიკელმა მამაკაცმა იქაურობა მილეწ-მოლეწა და რამდენიმე არტეფაქტიც მიაყოლა. დაზიანებულ ექსპონატებს შორისაა ანტიკური ხანის ბერძნული ამპჰორა და ძველბერძნული ზარდახშა, რომელთა საერთო ღირებულება 5 მილიონ დოლარს აღემატება. ბოროტმზრახველმა გატეხა, ასევე, 100 ათას დოლარად შეფასებული ძველბერძნული ფიალა და კედოს ტომის ინდიელების კერამიკული ბოთლი, რომლის ღირებულებაც 10 ათასი დოლარია. მუზეუმის დაცვამ 21 წლის ბრაიან ერნანდესი პოლიციის მისვლამდე დააკავა. ახალგაზრდა მამაკაცის განცხადებით, ის შეყვარებულზე გაბრაზდა, რის შემდეგაც მუზეუმში შეიჭრა.

პარაშუტით ხტომაში რეკორდი დაამყარა

შვედმა ქალბატონმა, 103 წლის რუთ ლარსონმა, პარაშუტით ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამბობს, რომ ძალიან მაგარი იყო ამის გაკეთება, რადგან დიდი ხანია, პარაშუტით ფრენაზე ფიქრობდა. ოცნების ასრულება მხცოვანმა ქალბატონმა დედაქალაქ სტოკჰოლმთან ახლოს, ქალაქ მუტალაში შეძლო. მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა პარაშუტით ტანდემში ხტომაში, ყველაზე ასაკოვან ადამიანებს შორის.

რა სარგებლობა მოაქვს ბალს?

ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა სეზონური ხილის მირთმევა. ახლა ბლის სეზონია და მოდით, გავიგოთ, რა სარგებლობა მოაქვს მას ჩვენი ორგანიზმისთვის. ბალში ბევრი კალიუმია, რაც მნიშვნელოვანია ნივთიერებთა ცვლისთვის, ასევე, სითხის ბალანსისთვის ორგანიზმში. ხილში ჭარბადაა რკინა, რაც ანემიასთან გამკლავებაში გვეხმარება. ბალი სასარგებლოა შარდსასქესო სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკისთვის - ის ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას. გარდა ამისა, ეს გემრიელი ხილი სასიკეთო გავლენას ახდენს საჭმლის მონელებაზე და ხელს უშლის ორგანიზმში სიმსივნური უჯრედების გაჩენას.

ბალი დიდი რაოდენობით შეიცავს „ბე“-ვიტამინსაც, რომლის წყალობითაც ძლიერი ხველის განკურნება და ასთმის შეტევის ჩახშობაა შესაძლებელი. გაითვალისწინეთ, რომ დიდი რაოდენობით ბლის მირთმევა სახიფათოა დიაბეტიანებისთვის - მას შეტევის გამოწვევა შეუძლია. მომატებული მჟავიანობის გამო კი, ის სიფრთხილით უნდა მიირთვან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების მქონე ადამიანებმა. ჯანმრთელი ადამიანისთვის დღეში 300 გრამი ბალია რეკომენდებული.

ოთხდღიან სამუშაო კვირას ტესტავენ

ნისლიან ალბიონზე, ოთხდღიანი სამუშაო კვირის დანერგვის მიზნით, უმსხვილესი ექსპერიმენტი 4 Day Week UK დაიწყეს. მასში 70 კომპანიის, დაახლოებით, სამი ათასი თანამშრომელი მონაწილეობს. ექსპერიმენტი "100:80:100" მოდელის მიხედვით მიმდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ ბრიტანელები 100%-იან ხელფასს მიიღებენ, სამუშაო დროს 80%-მდე შეამცირებენ, მაგრამ მწარმოებლუნარიანობას 100%-ით შეინარჩუნებენ. ექსპერიმენტში მონაწილეთა პროდუქტიულობასა და კეთილდღეობას ნახევარი წლის განმავლობაში, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სწავლულები დააკვირდებიან. შედეგები აჩვენებს, ეფექტურია თუ არა 32-საათიანი სამუშაო კვირა. მოკლე სამუშაო კვირას ოთხი წლის განმავლობაში ტესტავდნენ ისლანდიაშიც. აღმოჩნდა, რომ პროდუქტიულობა იგივეა, ბედნიერი სახე - მეტი, გადაღლილობა კი - ნაკლები.

პაციენტს დაბეჭდილი ყური მიაკერეს

ამერიკელმა სპეციალისტებმა, ბიოტექნოლოგიური კომპანიიდან, 3DBio Therapeutics, მსოფლიოში პირველად, პაციენტს სამგანზომილებიან პრინტერზე დაბეჭდილი ყური მიაკერეს. 21 წლის გოგონას მიკროტია სჭირდა - ის პატარა ზომის და არასწორად ფორმირებული მარჯვენა ყურით დაიბადა. ასეთი შემთხვევები, საშუალოდ, 10 ათასიდან ერთ ბავშვში გვხვდება. თავად მიკროტია საფრთხეს არ უქმნის ადამიანს, თუმცა მის თვითშეფასებაზე დიდ გავლენას ახდენს. კომპანიამ, პაციენტის უჯრედების გამოყენებით, ახალი ორგანო დაბეჭდა, რომელიც ფორმით ზუსტად შეესაბამება მის მარცხენა ყურს. შემდეგ კი ის წარმატებით მიაკერეს გოგონას. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, დროთა განმავლობაში, იმპლანტი უფრო ბუნებრივ სახეს მიიღებს, მასში ნერვების ჩაზრდის შემდეგ, ახალი ორგანო მგრძნობელობასაც შეიძენს.

სტრესი გაფანტულ სკლეროზს იწვევს

ცნობილია, რომ სტრესი, თუ მას ხშირი ხასიათი აქვს, ისეთი დაავადებების განვითარების პროვოცირებას იწვევს, როგორებიცაა ჰიპერტონია და ათეროსკლეროზი. თუმცა, ბოლო კვლევებით, ჰოლანდიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ სტრესი ნერვული სისტემის უმძიმესი და პრაქტიკულად, განუკურნებელი დაავადების - გაფანტული სკლეროზის განვითარების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანებში, რომლებიც გამუდმებით სტრესის ქვეშ არიან, ორჯერ უფრო ხშირია გაფანტული სკლეროზის შემთხვევები. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მოვლენა ადამიანის იმუნური სისტემის ფუნქციის დარღვევას უკავშირდება. სწავლულების თქმით, სტრესის რისკ-ჯგუფებს წარმოადგენენ: ქალები, რადგან ისინი კაცებზე ემოციურები არიან, მოხუცები და ბავშვები, ექსტრავერტები, ნევროტიკები, ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლები და სტრესისადმი გენეტიკურად განწყობილი პირები.

სექსუალურ მოძალადეებს პატრული გააკონტროლებს

ბელგიის დედაქალაქის პოლიცია და პროკურატურა თანამშრომელთა სპეციალურ ჯგუფს ქმნის, რომელიც ბრიუსელის ქუჩების პატრულირებას განახორციელებს და სექსუალურ მოძალადეებს შეებრძოლება. 2014 წლიდან, ქვეყანაში შეურაცხყოფა და საჯაროდ ძალადობის მცდელობა ისჯება ერთთვიანი ციხით ან 100 ევრომდე ჯარიმით. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ახალი პროექტი დედაქალაქს უფრო უსაფრთხოს გახდის და გააუმჯობესებს გოგონებისა და ქალბატონების ცხოვრების ხარისხს. 2021 წელს, სექსუალურ ძალადობაზე განცხადება ბელგიის სულ 71-მა მცხოვრებმა შეიტანა. ბევრმა არც იცის, რომ ჩივილი შეუძლია, ხოლო შემთხვევითი მოძალადის იდენტიფიცირება და მისი ბრალის დამტკიცება ძალიან ძნელია. ბრიუსელის პოლიციის სპეციალური დანაყოფი დააკვირდება გამვლელებს და დააფიქსირებს ძალადობის ფაქტებს.

ტირილისთვის ფული გადაახდევინეს



Date of Service	Provider	Description	Provider Billed
01/21/22	[redacted]	VISUAL ACUITY SCREEN	$20.00
01/21/22	[redacted]	HEMOGLOBIN	$15.00
01/21/22	[redacted]	PT-FOCUSED HLTH RISK ASSMT	$30.00
01/21/22	[redacted]	CAPILLARY BLOOD DRAW	$30.00
01/21/22	[redacted]	BRIEF EMOTIONAL/BEHAV ASSMT	$40.00
01/21/22	[redacted]	PREV VISIT EST AGE 18-39	$350.00

ნიუ-იორკის მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა, ექიმთან კონსულტაციისას, როცა მას საკუთარ მდგომარეობაზე უყვებოდა, ემოციები ვერ მოთოკა და ატირდა, რის გამოც მას დამატებით 40 დოლარი გადაახდევინეს - "გადაჭარბებული ემოციურობის" საფასური. ეს შემთხვევა სოციალურ ქსელში პაციენტის დამ, კამილა ჯონსონმა გაახმაურა. მისი თქმით, მედიკოსებმა პაციენტი არ შეაფასეს დეპრესიის ან სხვა ფსიქიური დაავადების თაობაზე და არც მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა განუხილავთ.

კამილას განცხადებით, მის დას იშვიათი დაავადება აქვს, რომელიც ძალიან ძნელად იკურნება. პაციენტმა ვიზიტის დროს გადაიხადა სისხლის ანალიზის, ჰემოგლობინისა და მხედველობის შემოწმების საფასური, თუმცა ცრემლებისთვის გადახდილი თანხა დანარჩენებზე ძვირი დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას ექიმთან ვიზიტის საფასურს სამედიცინო დაზღვევა ფარავს, ოჯახი შოკშია მომხდარით. კლინიკის წარმომადგენლები კი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ.

ყავის მოყვარულებს კიბო არ ემუქრებათ

ამ მატონიზირებელი სასმელის მოხმარება პროსტატის კიბოს განვითარების რისკს მნიშნელოვნად ამცირებს, - აცხადებენ ჩინელი მკვლევარები, შანხაის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც მთელი მსოფლიოდან 550 ათას მამაკაცს აკვირდებოდნენ. შედეგად გაირკვა, რომ დაავადების განვითარების ალბათობა 2.5%-ით ქვეითდება დღეში ყოველი ორი დამატებითი ფინჯანი ყავის მირთმევით. შედეგების გაანალიზების შემდეგ, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იმ მამაკაცებს, რომლებიც ყავას რეგულარულად მოიხმარდნენ, პროსტატის კიბოთი გარდაცვალების 24%-ით ნაკლები შანსი ჰქონდათ, თუკი მათ ასეთი დიაგნოზი უკვე დაუდგინეს. ექსპერტების თქმით, ეს ეფექტი იმით არის გამოწვეული, რომ ნაერთები - კაფესტოლი და კახვეოლი, რომლებსაც ყავა შეიცავს, კიბოს უჯრედების ზრდას ხელს უშლიან.

სელფის კურსები ვიეტნამელებისთვის

ვიეტნამელი სუსტი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც სოციალური ქსელებით სარგებლობენ, იდეალური სელფისთვის სპეციალურ კურსებს გადიან - სწავლობენ, როგორ გაიღიმონ, სად წაიღონ ხელები, საით გაიხედონ და სხვა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მოსახლეობის, დაახლოებით, 70% - 35 წელზე ახალგაზრდაა და სელფის კურსებიც, ძირითადად, ახალგაზრდა ვიეტნამელებს იზიდავს. კურსების წამყვანია პემ კიუ ლი, რომელსაც სოციალურ ქსელში ათასობით გამომწერი ჰყავს.

სელფის კურსების მსმენელთა უმრავლეობა ლის სთხოვდა ესწავლებინა, როგორ გადაეღოთ ლამაზი სელფი. ლის კურსებზე სწავლა 130 დოლარი ღირს და მხოლოდ დღენახევარი გრძელდება. სტუდენტები თითქმის ყველა პროფესიის წარმომადგენლები არიან - ბროკერებიდან დაწყებული, ინტერნეტ-მაღაზიების თანამშრომლებით დამთავრებული. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ საუკეთესო სელფით უკეთესად გაყიდიან საკუთარ პროდუქციას Facebook-ზე, რომელსაც ქვეყანაში 35 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

პატარძალი ტირილით მოკვდა

ახალგაზრდა ინდოელი ქალი, საკუთარი ქორწილის დღეს, ტირილით მოკვდა. როგორც გამოცემა India Today წერს, ინციდენტი საქორწინო ცერემონიის დასრულების შემდეგ, ეგრეთ წოდებულ, "ბიდააის" რიტუალის შესრულების დროს მოხდა. ამ ტრადიციული რიტუალის დროს, გათხოვილი ქალი მშობლების ოჯახს ემშვიდობება. ეს პროცესი ინდოეთში მოთქმითა და ტირილით სრულდება. ატირებულმა პატარძალმა მოულოდნელად გონება დაკარგა და იატაკზე დაეცა. ექიმებმა დაადგინეს, რომ მას გული გაუჩერდა. სიკვდილი, სავარაუდოდ, ძლიერი სტრესით იყო გამოწვეული.

კომპენსაცია ჩაშლილი დასვენებისთვის

ფინეთის მომხმარებელთა კამათების გადაჭრის კომისიამ პირველად დაადგინა კომპენსაცია "შვებულებისგან მისაღები სიამოვნების დაკარგვისთვის", - აცხადებს ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ანაზღაურება შეიძლება მიიღონ, მაგალითად, იმისთვის, თუკი მომხმარებელი სასტუმროში საკვებით მოიწამლა, ან ტკიპამ უკბინა. თუმცა, უბრალოდ, ნეგატიური განწყობა ან იმედგაცრუება არ ჩაითვლება კომპენსაციის გადახდის საფუძვლად. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ანაზღაურება სიამოვნების დაკარგვისთვის, დაახლოებით, 100 ევრო იქნება.

პენსიონერი რეკორდსმენი გახდა

პენსიონერი გერმანიიდან, ვოლფგანგ კირში გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც 70 წელს გადაცილებული ყველაზე ტატუირებული ადამიანი მსოფლიოში. მისი სხეულის 98% ნახატებითაა დაფარული, მას ტატუ მხოლოდ ტერფებზე არ აქვს. კირში, მეტსახელად, "მაგნეტო" 86 ტატუს, 17 პირსინგსა და სხვა იმპლანტებს ითვლის. გარდა ამისა, ასაკოვანმა მამაკაცმა თვალის ფერიც შეიცვალა - ეს განსაკუთრებით საშიში ოპერაციაა, რომელიც ადამიანს, შესაძლოა, მხედველობის დაკარგვად დაუჯდეს. ტატუსა და სხეულის მოდიფიკაციაზე კირშმა 25 ათასი ევრო დახარჯა. სხეულის ნახატებით დაფარვის აბსოლუტური რეკორდი 38 წლის ბრაზილიელს ეკუთვნის - მას 1000 ტატუ აქვს, რომელიც მისი სხეულის 99%-ს ფარავს.

დამბლის დამარცხების გზას მიაგნეს

ავსტრალიის სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სწავლულებმა მოზრდილი ადამიანების ძვლისა და ცხიმოვანი ქსოვილებისგან ღეროვნი უჯრედების მიღება ისწავლეს, რომელთაც ნებისმიერი ქსოვილის რეგენერაცია შეუძლიათ, მათ შორის, გატეხილი ხერხემლისაც. როგორც მეცნიერები აცხადებენ, ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა, მიიღონ ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები ან პროგენიტორული უჯრედები, რომელთაც გარკვეულ ქსოვილებად გარდაქმნა შეუძლიათ. ასეთი მიდგომა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, პირველი კლინიკური ცდების დაწყებას კი წლის ბოლოსთვის აპირებენ. ახალ თერაპიას უდიდესი პოტენციალი აქვს ზურგისა და კისრის მკურნალობაში, ასევე, ზურგის დისკის, სახსრებისა და კუნთების ტრავმის მკურნალობის დროს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.